გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

სამტრედიის მაცნე

N25 (9205) 10 სექტემბერი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

6 გიორგი მელია მსოფლიო ჩემპიონია!



2 ცესკო კანდიდატებს ასახელებს

3 კულული ბულნიური ახალგაზრდობით

7 წლის ბოლოს შევხვდებით ერთმანეთს

9 ასპროცენტიანი გრანტის მფლობელები გახდნენ

რამდენ პირველკლასელს ელიან მუნიციპალიტეტის სოფლის სკოლები

3 „ჩვენ მშვიდობა გვინდა"

„ჰუსიების უბნისთვის" ადგილობრივი ბიუჯეტიდან 15 000 ლარი გამოიყოფა 3

„ციფრებს დახედონ და შემდეგ გაგვაკრიტიკონ"

ბაგა - ბაღები აღსაზრდელებს 19 სექტემბერს მიიღებენ

გაცინებენ, გაბრაზებენ, გახელებენ სარკეში 8

5 სექტემბერს საკრებულომ მორიგი სხდომა გამართა

ლევან გაბეჩავა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი კობა ძიძიგური უძღვებოდა.

დღის წესრიგში 11 საკითხი იყო შეტანილი. საკრებულომ ყველა მათგანი განიხილა.

''ქალაქ სამტრედიაში, 9 აპრილის ქუჩა № 2-ში მდებარე შენობა-ნაგებობებიდან (მიწის უძრავი ქონების) 155,7 კვ.მ. ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ''სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებისათვის უზურფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაცემის შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე'' საკრებულოს, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა მერაბ უღრელიძემ მოახსენა.

დიდი ხანი არაა, რაც ''გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება ყოფილი კომისარიატის შენობის ერთ ნაწილში განთავსდა.

ფართი საკმარისია, ამჯერად, მუშაობისათვის ნორმალური პირობები გვაქვს. _ განაცხადა საკრებულოს სხდომაზე გაერთიანების დირექტორმა ბატონმა ელგუჯა კალაძემ.

იქვე საკრებულოს წევრებმაც აღნიშნეს, რომ ბოლო ხანებში განსაკუთრებით ხილვადია გაერთიანების მიზანმიმართული მუშაობა.

საკრებულომ ''საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლის შესაბამისად განიხილა საკრებულოს თავმჯდომარესთან ნუგზარ ჯამბურიასთან 12 სექტემბრიდან 30 კალენდარული დღით ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების საკითხი და გადაწყვიტა:

საკრებულოს თავმჯდომარესთან, ნუგზარ ჯამბურიასთან 12 სექტემბრიდან შეჩერდეს სამსახურებრივი ურთიერთობა ანაზღაურებად შვებულების ვადით, 30 კალენდარული დღით.

თავმჯდომარის მოვალეობას ბატონი კობა ძიძიგური შეასრულებს.

განხილულ საკითხთა ირგვლივ საკრებულომ შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო.

ცესკო კანდიდატებს ასახელებს

ნინო ნანიტაშვილი

8 სექტემბერს საღამოს 6 საათზე ცესკომ დაასრულა საქართველოს პარლამენტისათვის რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტის მიერ პროპორციული სიებისა და მაჟორიტარი კანდიდატების დარეგისტრირება.

55-ე სამტრედიის მაჟორიტარულ ოლქში 9 სექტემბრის დღის პირველი ნახევრისთვის წარმოდგენილი იქნა მხოლოდ ერთი, ''საქართველოს პატრიოტთა ალიანსის'' (გაერთიანებული ოპოზიციის) მაჟორიტარი კანდიდატი, შორენა ხარჩილავა.

კობა სიხარულიძე, 55. 54-ე სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ''ეს ინფორმაცია, რომ 9 სექტემბრის დღის პირველი ნახევრისთვის ჩვენ გვაქვს მონაცემები მხოლოდ მაჟორიტარობის კანდიდატის, შორენა ხარჩილავას მონაწილეობის შესახებ, არ ნიშნავს იმას, რომ 55-ე სამტრედიის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არ იქნება წარმოდგენილი სხვა საარჩევნო სუბიექტების მიერ მაჟორიტარობის კანდიდატები. სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისია მოლოდინშია, ცესკო მოგვაწოდებს საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი კანდიდატების სააღრიცხვო ბარათებისა და სხვა თანდართულ დოკუმენტაციას''.

„ციფრებს ჩახედონ და შემდეგ გაგვაკრიტიკონ''

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს სამსახურს ხშირად აკრიტიკებენ იმისთვის, რომ იქ დასაქმებული ადამიანები განსაცდელში მყოფი თანაქალაქელების სათანადოდ დახმარებას ვერ ახერხებენ. ლევან ახობაძე ამ ფაქტს მტკივნეულად განიცდის და თითქმის ყველა სამთავრობო შეხვედრაზე ბრალდების გასაბათილებლად ციფრებით საუბრობს.

''სამტრედიის მაცნესთან'' მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის და სოციალური სფეროს სამსახურის უფროსმა ის პროგრამები გაშალა, რომლის დაფინანსებასაც სამტრედიის მუნიციპალიტეტი წინა წლებთან შედარებით მზარდი ბიუჯეტით ახორციელებს: ''2016 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით სამტრედიის მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში შემოსულია 3650 განცხადება. სამსახურის მიერ დახმარება გაეწია 2640 მოქალაქეს, მედიკამენტებზე გაცემულია 575, ხოლო ოპერაციებსა და გამოკვლევებზე _ 650 საგარანტიო წერილი. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს გაიზარდა მრავალშვილიან ოჯახთა (ოჯახები, რომელთა შვილების რაოდენობა არის 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის) რაოდენობა. დღეის მდგომარეობით ყოველთვიურ დახმარებას ღებულობს 98 ოჯახი, ასევე გაზრდილია ახალშობილთა რაოდენობა, 7 თვის მდგომარეობით დახმარება გაეწია 118 ახალშობილს, აქედან 11 არის ტყუპები. თუ გავაკეთებთ შედარებას წინა წლებთან, ვნახავთ, რომ 2015 წელს სულ დახმარება გაეწია 2600-მდე მოქალაქეს, მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა შეადგენდა 84 ოჯახს, გაეწია დახმარება 165 ახალშობილს.

2014 წელს დახმარება გაეწია 1600-მდე მოქალაქეს, მრავალშვილიან ოჯახთა რაოდენობა შეადგენდა 80 ოჯახს, გაეწია დახმარება 88 ახალშობილს''.

ასე რომ, ჩვენს ოპონენტებს შევახსენებ, კრიტიკის დაწყებამდე უმჯობესია, ციფრებს ჩახედონ და ამის შემდეგ გაგვაკრიტიკონ''.

კომისიის პირველ სხდომაზე თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი აირჩიეს

ნინო ნანიტაშვილი

55-ე სამტრედიის მაჟორიტარული ოლქის მე-13 უბანზე პირველი სხდომა 8 სექტემბერს, დღის სამ საათზე იყო ჩანიშნული. რაზმაძის ქუჩის 8 ნომერში მდებარე № 1 სამუსიკო სკოლის შენობაში განთავსებულ კენჭისყრის ოთახში მე-13 უბნის კომისიის წევრები 8 სექტემბრიდან 30 დღის განმავლობაში იმუშავებენ.

8 სექტემბერს კომისიის წევრთა სრული უმრავლესობის მხარდაჭერით მე-13 უბანზე არჩეული იქნა კომისიის თავმჯდომარედ მანანა გულიაშვილი, მოადგილედ თამაზ ფხაკაძე, მდივნად ლანა დარჯანია.

55-ე მაჟორიტარულ ოლქში 7 და 8 სექტემბერს საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომები მშვიდ გარემოში გაიმართა. თითოეულ უბანზე კომისიის მიერ არჩეული იქნა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი.

50-ვე საარჩევნო უბანზე 7 და 8 სექტემბერს გამოიკრა ამომრჩეველთა ერთიანი სია, სადაც ყველა ამომრჩეველს 22 სექტემბრამდე შეეძლება, თავისი თავი და თავისი ოჯახის წევრების მონაცემები გადაამოწმოს.

საკუთარი გვარ-სახელის არ აღმოჩენის შემთხვევაში ამომრჩეველს შეუძლია, იმავე უბანზე თავმჯდომარეს, ან საოლქო საარჩევნო კომისიას განცხადებით მიმართოს.

არჩევნებამდე 16 დღით ადრე სიის საბოლოო ვარიანტის ფორმირება დასრულდება.

ტყე შევუნახოთ შვილებს!

ლევან გაბეჩავა

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ცნობილია, რომ ქვეყნის მასშტაბით მასობრივად დაზიანდა არა ერთი და ორი უიშვიათესი ჯიშის მცენარე, დაზიანება კი სხვადასხვა დაავადებებმა გამოიწვია.

მოვიდა შემოდგომა. ზამთრის (გათბობის) სეზონი თანდათან ახლოვდება და, როგორც წესი, დაიწყება ტყეების მასობრივი ჭრა.

ტრადიციულად, ხონიდან სამტრედიის მიმართულებით ასწლოვანი ხეებით დატვირთული მანქანები აიღებენ გეზს.

ყოველთვის საგანგაშო იყო მცენარეთა უნებართვო ჭრა, მაგრამ დღეს, როცა პლანეტაზე, რეგიონში ბუნებრივი საფრთხე დაემუქრა მცენარეებს, თითოეული ხის მოჭრა არა მარტო საგანგაშო, სავალალო და საბედისწეროა დღეს თუ არა, უახლოესი მომავლისათვის მაინც.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმდენი მაკონტროლებელ-გულშემატკივარი ჰყავს გარემოს ბოლო ხანია, მსგავსი ფაქტები ნამდვილად არ უნდა ხდებოდეს. უფრო ხატოვნად რაკი ვერაფერს ვიტყვი:

ტყე შევუნახოთ შვილებსა!

საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების პერიოდში ''სამტრედიის მაცნე'' იხელმძღვანელებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლისა და 2015 წლის 15 აგვისტოს საქართველოს ეროვნული კომისიის დადგენილების შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 2 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი. მისი ღირებულება შეადგენს 200 ლარს.

კედელი ბედნიერი ახალგაზრდობით

თეა ბაბუნაშვილი

კედელი ბედნიერი ახალგაზრდობითის კედელი, დიდხანს რომ აუშნოებდა ქალაქის მთავარ ქუჩას, ამიერიდან მისი ცენტრალური ნაწილის მშვენებადაც შეიძლება ჩაითვალოს. იგი საბჭოთა სიმბოლიკებითა და ზედ შერჩენილი ძველი ჩუქურთმით, საკმაოდ შელახული იერსახით, წინასაარჩევნოდ პლაკატებით "მორთული", ნაარჩევნებს მათი ნარჩენებით აჭრელებული შემორჩა სამტრედიელთა ბოლო წლების მახსოვრობას. უკვე რამდენიმე კვირაა, ეს კედელი დიდ ესთეტიურ სიამოვნებას ანიჭებს მნახველს.

მისი ამგვარი სახეცვლილების იდეა პროფესიით ინჟინერს, ნიჭიერ მხატვარს, ქალაქის მუნიციპალიტეტის სპეციალისტს, გია შუბლაძეს ეკუთვნის. მას ეს პროექტი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ჰქონდა მზად ჟვანიას სახელობის ინსტიტუტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე წარსადგენად, რომელიც ინფრასტრუქტურული ობიექტების ორიგინალური სახეცვლილების ჩანაფიქრის განხორციელებას გულისხმობდა. სამწუხაროდ, ვადებში ვერ ჩაეტია და კონკურსს გამოეთიშა. "პროექტი შექმნილი დამრჩა. იგი გამგებელს და მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეს წარვუდგინე. მათ სხვა შესაბამის სპეციალისტებთან ერთად მოიწონეს იგი." _ ამბობს გია შუბლაძე. აკონკრეტებს, რომ კედლის ამ პროექტით რესტავრაციაში უდიდესი წვლილი უშუალოდ მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერი ფოცხვერიას მიუძღვის.

კედლის დიდი ნაწილი ბეტონის ფილებით მოპირკეთდა და სპეციალური საღებავით შეიღება. მისი ერთი ნაწილი

ბოლნისის ტუფითაა მოპირკეთებული, რომელზეც ვაზია ამოტვიფრული. კედელზე გამოსახული ნახატი "ბედნიერი ახალგაზრდობა" პროექტის ავტორს, გია შუბლაძეს ეკუთვნის. იმ ადგილს, სადაც აქამდე საბჭოთა საქართველოს სიმბოლიკები იყო, ამჯერად ჯვრის გამოსახულება ამშვენებს. "იყო აზრთა სხვადასხვაობა ამ სიმბოლიკის შენარჩუნება-არშენარჩუნების თაობაზე. მე ვთვლიდი, რომ იგი უნდა შენარჩუნებულიყო. პროექტის ავტორის დაჟინებული მოთხოვნით ეს არ მოხდა. ვთვლი, რომ ის სიმბოლიკა საქართველოს ისტორიის ნაწილი იყო და მისი "მოტეხვით" ამას ვერ შევცვლით." _ ამბობს სამუშაოთა შემსრულებელი ვალერი თევზაძე. პროექტის ავტორი გია შუბლაძე თვლის, რომ უპრიანი იქნებოდა საბჭოთა სიმბოლიკა ჯვრით შეცვლილიყო, მით უმეტეს, რომ იგი იმდენად დაზიანებული გახლდათ, რომ მისი რესტავრაცია შეუძლებელიც გახდა. ასევე შეუძლებელი აღმოჩნდა იმ ძველი ჩუქურთმის რესტავრაცია, კედელს ირგვლივ რომ გასდევდა.

სამუშაოები ინდმეწარმე "მაია აბურჯანიძემ" ტენდერის მოგების საფუძველზე 19 ათას ლარად შეასრულა. სამუშაოების უშუალო მიმდინარეობას ვალერი თევზაძე ხელმძღვანელობდა. როგორც მან აღნიშნა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პროექტის ზედმიწევნით კარგად განხორციელებით გახლდათ დაინტერესებული. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მიხეილ ლეჟავა თავად დაეხმარა მას ზოგიერთი სპეციალისტის მოძებნაში. სამუშაო მართლაც კარგად შესრულდა. ჩვენთვის, ანუ იმ ჯგუფისთვის, ვინც ამ პროექტის განხორციელებაზე მუშაობდა, ორმაგად სასიხარულოა, რომ ქალაქის ცენტრში ამ ერთი ლამაზი კუთხის მოწყობაში ჩვენი წვლილი შევიტანეთ."

კიდევ რამდენიმე იდეა, ქალაქის იერსახეს რომ გაათანამედროვებს ისევ აქვს გია შუბლაძეს, თუმცა, მასზე ჯერ არ საუბრობს, სიურპრიზად ტოვებს და როცა ამის დრო მოვა, მათ საკუთარ ფეისბუქ გვერდზე ისევე "დადებს", როგორც ამ კედლის პროექტი გააცნო საზოგადოებას.

"რუსიების უბნისთვის" ადგილობრივი ბიუჯეტიდან 15 000 ლარი გამოიყოფა

ქეთევან ჭელიძე

31 აგვისტოს ძლიერმა წვიმამ სერიოზული პრობლემები ისევ შეუქმნა ე. წ. "რუსიების უბანს". ნალექისგან ჩამოშლილმა მთის ქანმა დამბა-ჯებირი გაარღვია და ადიდებულმა მდინარემ საცხოვრებელ სახლებსა და საკარმიდამო ნაკვეთებში შეაღწია. "რუსიების უბანი", რომელიც გომის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარეობს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, ზურაბ გოგიას განცხადებით, კატასტროფის წინაშე დგას.

მუნიციპალიტეტის გამგეობამ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ჯერ კიდევ ადრე მიმართა ამ უბანში 2015 წლის სტიქიის შედეგად დაზიანებული დამბა-ჯებირის აღსადგენად თანხის გამოყოფის მიზნით. მითითება მიიღეს, აღნიშნული სამუშაოები 2017 წლის რეგიონალური განვითარების ფონდის პროგრამით დაეფინანსებიათ. მორიგი სტიქიის შედეგად სიტუაცია გაუარესდა და საქმის 2017 წლამდე გადადება შეუძლებელი გახდა, ამიტომ მუნიციპალიტეტის გამგეობამ ისევ მიმართა წერილობით მინისტრს, ნოდარ ჯავახიშვილს.

"საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ საქართველოს მთავრობის წინაშე, რათა გათვალისწინებული იქნას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის № 1247 განკარგულებით "საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის № 175 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. სამტრედიის მუნიციპალიტეტში შესრულებული სამუშაოებიდან მიღებული ეკონომიის თანხიდან გამოყოფილი იქნას 50 000 ლარი, სოფელ მთისძირში "რუსიების უბანში" მთის ქანის ჩამოშლის შედეგად დაზიანებული დამბა-ჯებირის აღსადგენად". _ ნათქვამია წერილში.



ზურაბ გოგია დარწმუნებულია, რომ სამინისტრო, მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე, თხოვნაზე დადებით რეაგირებას მალე მოახდენს.

"50 000 ლარით შესაძლებელი გახდება 400 გრძივი მეტრის, 5 მეტრი სიგანისა და 1 მეტრი სიღრმის ტერიტორიიდან 2000 მ³ ინერტული მასალის გატანა. რამდენიმე ადგილზე გაკეთდება დამბა-ჯებირი". _ აღნიშნავს ბატონი ზურაბი.

პირველი ეტაპისათვის "რუსიების უბანში" სამუშაოების ჩასატარებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 15 ათასი ლარი გამოიყოფა. ამ თანხით შესაძლებელი გახდება ზედმეტი ნატანის გატანა, რაც მოსახლეობას საფრთხისაგან დაიცავს.

სკვერების კეთილმოწყობის მიზნით

ქეთევან ჭელიძე

"საპროექტო დოკუმენტაცია დასრულებულია, ტენდერი გამოცხადებულია, გვყავს გამარჯვებული კომპანიები". _ აღნიშნავს ჩვენთან საუბარში სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია.

საქმე ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ოთხ სკვერში ჩასატარებელ სამუშაოებს ეხება, რისთვისაც თანხა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოფა. ტენდერში გამარჯვებული კომპანიები ლაშა თევზაძისა და მარლენ ბარამიას სახელობის, ასევე, კოსტავასა და ვაჟა-ფშაველას ქუჩებზე მდებარე სკვერებს კეთილმოაწყობენ.

"ეკონომ-გრუპი 12 089 ათას ლარიან სარეაბილიტაციო სამუშაოებს ჩაუტარებს ლაშა თევზაძის სკვერს. ამ თანხით გაკეთდება მოაჯირები, განათება, ძელსკამებზე შეიცვლება ხის მასალა, კეთილმოეწყობა ტერიტორია.

16 395 ლარი დაიხარჯება მარლენ ბარამიას სახელობის სკვერისთვის. სამუშაოებს კომპანია "საძმო" ჩაატარებს. იგივე კომპანია ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე სკვერსაც განაახლებს. სკვერში დაიგება ფილები და ბავშვებისათვის სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი დაიდგმება, რისთვისაც 8 396 ლარი დაიხარჯება.

კოსტავას ქუჩაზე მდებარე სკვერში გამარჯვებული კომპანია "გია და კომპანია" ბორდიურებს გააკეთებს, ტერიტორიას მოაწესრიგებს და მცირე ზომის ატრაქციონებს დადგამს. სატენდერო თანხა 9599 ლარს შეადგენს.

სამუშაოებს გამარჯვებული კომპანიები უახლოეს მომავალში განახორციელებენ.

"ჩვენ მშვიდობა გვინდა"

ლევან გაბეჩავა

მილიარდობით ადამიანი იმეორებს ამ სიტყვებს, განსაკუთრებით ბოლო ხანებში, როცა მსოფლიო ტერაქტების არნახულმა ტალღამ მოიცვა.

და მაინც, რატომღაც 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტი, რომლის ორგანიზატორი ტერორისტული ორგანიზაცია "ალქაიდა" და მისი ლიდერი, შემდეგ მსოფლიოს № 1 ტერორისტად აღიარებული უსამა ბინ ლადენი იყო, თავისი მასშტაბებით მიჩნეულია მიმდინარე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ვანდალურ აქტად.

მერე იყო ბესლანი, 1 სექტემბერი, როცა ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს უდანაშაულო ბავშვები ემსხვერპლნენ ტერორისტთა ბოროტ ზრახვებს.

მიმდინარე წელი ტერაქტების სიხშირით შევიდა ისტორიაში.

რიგ წამყვან სახელმწიფოებში განხორციელებულმა მზაკვრობამ, უდანაშაულო ადამიანთა უმანკო დაღვრილმა სისხლმა თავისთავად ყველა გონიერი, მშვიდობისმოყვარე ადამიანის სული, გონება შეძრა.



ძნელია სიტყვებით ანუგეშო დაღუპულთა ოჯახის წევრები, ახლობლები.

როცა ტერორისტული აქტების სერიაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება სიამაყით არ აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის შესაბამისმა სამსახურებმა, გამოავლინეს და დროზე აღკვეთეს სამზადისი მსგავსი ქმედებისა, საქართველოში რომ უნდა განხორციელებულიყო.

კიდევ ერთხელ მადლობას იმსახურებს ყველა, ვინც ფხიზლად დგას ქვეყნისა და ხალხის მშვიდობიან სადარაჯოზე.

მოდის 11 სექტემბერი.

არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც 11 სექტემბრის ტერაქტი მოხდა, არამედ მსოფლიოში ისევ შეიკრიბებიან საზოგადოების წარმომადგენლები და ხმას აღიმაღლებენ ყოველგვარი დასაგმობის: ძალადობის, ადამიანის უფლებათა დარღვევის, მათი სიცოცხლის ხელყოფის, ღირსებისა და პატივის შელახვის დაუშვებელი ფაქტის წინააღმდეგ.

დღეს, როცა გლობალიზაცია აღმავალი გზით მიდის, როცა (კარგი გაგებით) საზღვრები წაშლილია სახელმწიფოთა შორის, როცა კაცობრიობის განვითარება, გონებრივი პოტენციალი გაცილებით დიდია გასულ საუკუნეებთან შედარებით, არა მარტო სამართალდამცავებმა, სახელმწიფოთა ლიდერებმა, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, თითოეულმა ადამიანმა მაქსიმალურად უნდა იღვაწოს, ყველაფერი გააკეთოს საყოველთაო მშვიდობის შესანარჩუნებლად.

გვახსოვს 11 სექტემბერი...

გვახსოვს ბესლანი...

...

მშვიდობა მსოფლიოს!

უფასო პოლიტიკური რეკლამა

სახელმწიფო ხალხისთვის და არა პირიქით...

სადაც შიში და სიღარიბეა, იქ საზოგადოების აზროვნებაც სხვანაირია

განათლება:

2001-2004 წ.წ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კონსტიტუციური სამართლის კათედრა.

2010 წ. პოლიტიკური სწავლების სკოლა (ევროპის საბჭოს პოლიტიკური სწავლების სკოლების ასოციაცია _ სტრასბურგი)

2011 წ. კომპანია "დელოიტ@ტუში"-ს მიერ ჩატარებული ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის სწავლება.

2011 წ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ორგანიზებული ეფექტიანობის აუდიტის სწავლება.

2012 წ. UNDP-ს მიერ ორგანიზებული BREDGE-ს ტრენინგი.

სამუშაო გამოცდილება:

2000-2001 იურისტ-კონსულტანტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალი.

2002-2004 წ.წ. საადვოკატო კომპანია შპს "სანდო", ადვოკატი.

2004-2005 წ.წ. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის მოწვეული სპეციალისტი.

2005-2008 წ.წ. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის წამყვანი სპეციალისტი, აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

2008-2009 წ.წ. რესურსების მართვისა და კონტროლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

2009-2011 წ.წ. რესურსების მართვისა და კონტროლის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

2011-2012 წ.წ. სახელმწიფო აუდიტის სამსახური, უფროსი აუდიტორი, აუდიტის ჯგუფის უფროსი.

2012-2013წ.წ. სახელმწიფო რწმუნებულის _ გუბერნატორის მოადგილე. გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში.

2014-2016 წ.წ. "ინოვაციებისა და განვითარების ფონდის" პროექტების მენეჯერი.

2014 წ.წ. წლიდან დღემდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

2015-2016 წ.წ. "ინოვაციებისა და განვითარების ფონდის" პროექტ "საპარლამენტო კლინიკის" ხელმძღვანელი.

არის ღირსების ორდენის კავალერი.

თეა ბაბუნაშვილი

მსოფლიო საოპერო სცენების შემდეგ ქართველი ბანი ბანს ქართულ პოლიტიკას რომ აძლევს, ზოგისთვის მოულოდნელი, ზოგისთვისაც მისასალმებელი ამბავი აღმოჩნდა. "იავნანათი" დაწყებული ქველმოქმედება მრავალშვილიან ოჯახებს და არა მხოლოდ მათ, რა თქმა უნდა, არ დავიწყნიათ. ამიტომ და სხვა არაერთი მიზეზის გამოც, პაატა ბურჭულაძის საარჩევნო მარათონი საზოგადოების ინტერესს იმსახურებს. შედეგებზე ნაარჩევნებს, მანამდე იმაზე, რომ წინასაარჩევნოდ ზოგი საარჩევნო ბლოკი დაიშალა, ზოგიც კი შეიქმნა საქართველოში. ერთ ახლად შექმნილს მსოფლიო ბანი თავად ჩაუდგა სათავეში. ბლოკმა "პაატა ბურჭულაძე _ სახელმწიფო ხალხისთვის" ოთხი საარჩევნო სუბიექტი "შეიფარა", თვით "სახელმწიფო ხალხისთვის", "ახალი საქართველო" _ გიორგი ვაშაძის პარტია, ახალი პოლიტიკური ცენტრი "გირჩი" _ ზურაბ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით და "ახალი მემარჯვენეები" _ მამუკა კაციტაძის თავმჯდომარეობით. "ნაციონალურ" წარსულს მასში შემავალი პარტიების ნაწილს ბევრი აყვედრის, თუმცა, ამაზე საკუთარი პასუხები აქვთ ბლოკის წევრ საარჩევნო სუბიექტებს.

როგორც ყველა ჩავლილ არჩევნებზე, წინასაარჩევნო დაპირებებით განებივრებული საზოგადოება არც ამჯერადაა გულდაწყვეტილი "კეთილი სურვილებით". რა იქნება 8 ოქტომბრის შემდეგ, ნარვაოქტომბრევს, მანამდე კი ის ადამიანები უფრო ახლო რაკურსით, ვინც საკუთარ პერსონას გვთავაზობს ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობის სანდობად.

პაატა მანჯგალაძე სამტრედიელია. მისი სამუშაო გამოცდილება ქვეყნის მმართველობის სტრუქტურებში ღრმად ჩახედული და ამ სფეროში კარგად გარკვეული ადამიანის რეზიუმეა. ამ გამოცდილების გამოც კითხვები უპასუხოდ არ რჩება, პრობლემებზე კი მათი მოგვარების გზების გაცნობის გარეშე არ საუბრობს. სამტრედიელ მაჟორიტარობის კანდიდატთაგან იგი პირველია, ვინც ჩვენი გაზეთის ტრიბუნა ამომრჩეველთან გულღიად სასაუბროდ გამოიყენა. ამის საშუალება, რა თქმა უნდა, სიამოვნებით მივეცით. აქვე იმაზეც, რომ იგი, მადლობას უხდის მის გუნდს ჯერ ისევ დაუმთავრებელ ბრძოლაში ერთგულებისა და გვერდში დგომისთვის. "სახელმწიფო ხალხისთვის" სამტრედიის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლევან ბალანჩივაძე, ახალი პოლიტიკური ცენტრი "გირჩის" ლიდერი სამტრედიაში გურამ ხურცილავა, და "ახალი მემარჯვენეების" სამტრედიელი ლიდერი ლევან ბუაძე, საარჩევნო შტაბის წევრებთან, მხარდამჭერებთან და თანამოაზრეებთან ერთად წინასაარჩევნო მარათონში კეთილსინდისიერი ბრძოლით გამარჯვებისთვის არიან მოწადინებული. პაატა მანჯგალაძე ამომრჩეველს "სამტრედიის მაცნეს" ფურცლებიდან ესაუბრება.

_ "ნაციონალური" წარსულის მქონეაო და... თავის დროზე ამ პარტიის წევრიც ბრძანებულხართ?

_ "ნაციონალურ" წარსულში რას გულისხმობთ, თუ გადავხედავთ სამტრედიის პოლიტიკურ სპექტრს ... მე ყველაზე ნაკლები "ნაციონალური" წარსული მაქვს ალბათ, მე ამ პარტიის მხარდამჭერი ვიყავი. "ნაციონალური მოძრაობასთან" ურთიერთობის გაწყვეტა ჩემი პოლიტიკური არჩევანი იყო და მიმაჩნია, რომ იმ გამოწვევებისთვის, რაც დღეს საქართველოშია, საჭიროა ახალი ძალა. "ნაციონალურმა მოძრაობამ" თავისი როლი შეასრულა, კარგად თუ ცუდად, ამას ისტორია შეაფასებს და ამაზე ნუდარ ვილაპარაკებთ, ვისაუბროთ სამომავლო გეგმებზე, რადგან მიმაჩნია, რომ იმ გამოწვევებისთვის, რაც დღეს არის საქართველოში, საჭიროა ახალი ძალა.

_ რადგან არაერთგან არაერთგზის ითქვა, ნუდარ ვილაპარაკებთ ზოგადად ამ ბლოკის საარჩევნო პროგრამაზე. კონკრეტულად სამტრედიელ ამომრჩეველს რას სთავაზობს თქვენი გაერთიანება?

_ რა თქმა უნდა, სამტრედია ნაწილია იმ მთლიანობისა, რა სასიკეთო ცვლილებებიც ქვეყანაში იგეგმება ჩვენი ბლოკის მიერ _ თავისუფლება და ეკონომიკური წინსვლა. ამისთვის დროში გაწერილი კონკრეტული გეგმები არსებობს. მათი განხორციელების შემდეგ თითოეული ოჯახი ამას რამდენიმე თვეში იგრძნობს.

_ ფრაზა "საქართველოს თითოეული ოჯახი იგრძნობს საკუთარ თავზე" წინასაარჩევნოდ ძალიან აქტუალური და პოპულარულია. ყველა საარჩევნო სუბიექტი ასე იწყებს და ამთავრებს იმ დაპირებებს, მხოლოდ კეთილდღეობას რომ ჰპირდება საქართველოს ოჯახებს. სხვა ცნობილი ფრაზისა არ იყოს, ასე იყო, ასე არის და სავარაუდოდ, ასე იქნება. თუმცა იგივე ნაარჩევნებს აუსრულებელ საარჩევნო დაპირებებზეც შეიძლება ითქვას, ანუ ასე იყო ... და, სავარაუდოდ, ასე იქნება?!

_ მართალია! მეც და ჩვენც ვფიქრობთ, რომ დაიღალა ხალხი ამდენი დაპირებებით. უკვე აუცილებელიცაა ადამიანების კონკრეტულ საჭიროებებზე არათუ ავაგოთ საარჩევნო კამპანია, არამედ დავიწყოთ ფიქრი და შრომაც. ჩვენი საარჩევნო ბლოკის დასახელებაც მეტყველებს ამაზე _ "სახელმწიფო ხალხისთვის" და არა პირიქით, ხალხი სახელმწიფოსთვის. მთავარი ღირებულება უნდა იყოს ადამიანი. ამას რომ ვამბობთ, მტკიცებულებად ჩვენი ლიდერი გვყავს მხედველობაში. ჩვენი გაერთიანების მთავარი ავტორიტეტი პაატა ბურჭულაძეა. მის საქმეებზე ბევრს კი არა, ყველას სმენია საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში. და რაც სმენიათ, ცუდი არასდროს არაფერი! ამაში ყველა დამეთანხმება. ხალხმა უნდა გაიკეთოს არჩევანი წარსულსა და მომავალს შორის. მომავალი კი განათლებული, პროფესიონალი ახალგაზრდებისაა.

_ თუმცა, ნდობაზე საუბრისას, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ "ახალი საქართველო" "ნაციონალური" ფესვების მქონეთა გაერთიანებაა ...

_ ეს საარჩევნო კამპანიის ნაწილია! "ნაციონალებისთვის" ჩვენი გაერთიანება "ქართული ოცნების" პროექტია და პირიქით, "ქართული ოცნებისთვის" "ნაციონალური მოძრაობის"...

_ აბა, სინამდვილეში ვისი პროექტია "სახელმწიფო ხალხისთვის"?

_ არავის, ეს დამოუკიდებელი, თვითმყოფადი მოძრაობაა. ჩვენ ხალხს კეთილდღეობის მარტივ არჩევანს ვთავაზობთ. "ნაციონალური მოძრაობა" საზოგადოებაში შიშთან, "ქართული ოცნება" კი სიღარიბესთან და უნიათობასთან ასოცირდება. სადაც შიში და სიღარიბეა, იქ საზოგადოების აზროვნებაც სხვანაირია. ჩვენ გვინდა შევცვალოთ ეს რეალობა, უარი ვთქვათ შიშსა და სიღარიბეზე და ხალხს მომავალი მივცეთ. სამტრედიელებმა ხმა არა მხოლოდ მე, პაატა მანჯგალაძეს, არამედ საკუთარ და საკუთარი შვილების მომავალს უნდა მისცენ!

_ ... მოკლედ, თქვენც სიტყვაზე უნდა გენდოთ?

_ სიტყვაზე არა, გაკეთებულ საქმეებზე! იმ პროექტებს, რომლებიც საზღვარგარეთ განათლებამიღებული ახალგაზრდების საქართველოში ჩამოყვანას გულისხმობდა, ორი წლის მანძილზე პირადად ვხელმძღვანელობდი. ათასობით ახალგაზრდა იყო მათში ჩართული. მოხალისეთა გუნდი შევკრიბეთ, გამოვაცხადეთ ღია კონკურსი, ჩამოვიყვანეთ წარმატებული ქართველები...

_ ... ჩამოვიყვანეთ უცხოეთიდან წარმატებული ქართველები, უცხოურგანათლებამიღებულები _ ეს არის ფრაზები ბოლო არაერთი წელია რომ დომინირებს ქართველების მეტყველებაში პროფესიონალიზმის და ჭეშმარიტი განათლების დასტურად. რა ჰქნან იმ ახალგაზრდებმა, დიპლომში უცხოური რეგალიები რომ არ უწერიათ, მაგრამ მეტად განათლებულებიც არიან და პროფესიონალებიც. საქართველოში მიღებული განათლება ერთი შეხედვითვე მეორეხარისხოვანი ხდება. მით უმეტეს, რომ ხშირ შემთხვევაში უცხოური განათლების დამადასტურებელი ეს დიპლომები სულაც არ არის ჯეროვანი ცოდნის დასტური ...

_ არასწორად აკეთებთ აქცენტს, მე ამაზე არ ვსაუბრობდი და სულაც არ ვთვლი, რომ საქართველოში მიღებული განათლება მეორეხარისხოვანია. თავადაც აქ ვსწავლობდი, სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დავამთავრე, კონსტიტუციური სამართლის სპეციალისტი გახლავართ. რა ხდება იცით? განათლების სისტემა ისეა მოწყობილი საქართველოში, რაც არ უნდა პროფესია გქონდეს, თავიდანვე განწირული ხარ უმუშევრობისთვის. ეკონომიკას და ქვეყნის სხვა განვითარებას რომ თავი დავანებოთ, ქვეყანას ამდენი უმაღლესდამთავრებული არ სჭირდება.

_ მიუხედავად იმისა, რომ სამტრედიელი ბრძანდებით, აქ დაასრულეთ საშუალო სკოლა, სამტრედიისთვის მაინც ახალი კადრი ხართ.

_ ასე არ ვიტყოდი, მე ჩხენიშში დავიბადე, ვცხოვრობდი და ჩემი ოჯახი დღესაც იქ ცხოვრობს, აქ იზრდ-

უფასო პოლიტიკური რეკლამა

გია მიქელაძე — დიდი ნდობის ნიშანი

სოციალურ ქსელში პირველი ფოტოს ატვირთვას უამრავი რეაქცია მოჰყვა. უმეტესობა სიხარულს და კმაყოფილებას გამოხატავდა გია მიქელაძის საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარდგენის გამო. იმავე დღეს მინაწერები გაჩნდა როგორც საქართველოს მოქალაქეების, ასევე უცხოეთში მცხოვრები ადამიანების მხრიდან.

ერთ-ერთმა თბილმა მინაწერმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ჩვენში. დავუკავშირდით ადრესატს და შევიტყვეთ მისი ვინაობის შესახებ. იგი აღმოჩნდა ეფრაიმ იაკობის ძე მიხაილი ისრაელის არმიის პოლკოვნიკი რეზერვში, ყოფილი სამხედრო ატაშე ისრაელის არმიისა რუსეთში და თავდაცვის სამინისტროს დელეგაციის უფროსი მოსკოვში 2000-2002 წლებში.

დაიბადა 1955 წლის 21 ივნისს, სამტრედიაში, დაბა კულაშში, დაამთავრა მკურნალის სახელობის საშუალო სკოლა. დაბადების გვარი არის მიხელაშვილი. მშობლები — იაკობი და რივა მიხელაშვილები.

პარტია "ქართული ოცნების" სამტრედიის მაჟორიტარობის კანდიდატის შესახებ საუბარზე ადვილად დავითანხმეთ. დიდი სიამოვნებითო, — გვითხრა ისრაელის არმიის პოლკოვნიკმა, ისრაელის სამხედრო ატაშემ მოსკოვში ეფრაიმ მიხაელმა.

— რა ურთიერთობა გაკავშირებთ გია მიქელაძესთან?

— დავიბადე და გავიზარდე კულაშში. გიას მეოთხე კლასიდან ვიცნობ, როდესაც ის სხვა სკოლიდან ჩვენთან გადმოვიდა. ერთად ვსწავლობდით მეათე კლასამდე. წინა საუკუნის 90-იანი წლებში შევხვდით ერთმანეთს ისრაელში. ამის შემდეგ ჩვენი კავშირი აღარ გაწყვეტილა. ჩვენი მეგობრობა და სიყვარული უანგაროა, როგორც საქართველოში ავთანდილის და ტარიელის, ჩვენთან კი დავითისა და იონათანის. ეს მეგობრობა გადაიზარდა ორი ერის მეგობრობასა და სიყვარულში. ყველამ იცის, რომ გია მიქელაძისა და ეფრაიმ მიხაილის მეგობრობა არის ისტორიული ეპიზოდი ამ

ერების მეგობრობაში.

არსებობს ელაშვილების მიერ ჩამოყალიბებული ფონდი. მისი კლასელი იყო ისაკ ელაშვილი. ეს ფონდი მიხვდა, რომ გია ერთ-ერთი უანგარო დამცველი იყო ებრაელი ხალხის. მან შეინახა და გამოკვება ებრაელები, როცა უჭირდათ, შეინახა ჩვენი სალოცავები და საფლავები, ათეულობით წელი აკეთებდა გია მიქელაძე ამას. ამ ქველმოქმედებისათვის ელაშვილებმა დააყენეს ისრაელის სახელმწიფოს წინაშე წინადადება, რომ გია მიქელაძე იყოს დაჯილდოვებული რაიმე განსაკუთრებული ჯილდოთი და ისრაელის სახელმწიფომ მას გადასცა საპატიო მოქალაქეობა. ცერემონია გაიმართა 2012 წლის 13 ნოემბერს ისრაელის პარლამენტში.

— რა პიროვნული მახასიათებლები გამოარჩევს გია მიქელაძეს სხვებისგან?

— ქართული მენტალიტეტი მიზნად ისახავს ადამიანის ჩამოყალიბებას, წესიერებას, მაგრამ წლებისა და დღეების განმავლობაში, ობიექტური მიზეზების გამო, ადამიანს უწევს მათი დაცვა. გია მიქელაძეს ათი წლიდან ვიცნობ და ის არ შეცვლილა, გია არის სპეტაკი, ის არის მეგობარი, როცა მეგობარია, მისი სიტყვა არის კანონი, ქვასავით ძლიერი. ის მსოფლიოში ქართველ ებრაელთა და საერთოდ, ქართველთა დამცველია და ითვლება საქართველოს ელჩად ისრაელში. თუ მას პარლამენტში აირჩევენ, ამ პარლამენტში იქნება ადამიანი, რომლის სიტყვა სიტყვაა, შეპირებული შეპირებულია. პატიოსანი ადამიანია, რომელიც ათობით წელია, ეხმარება სამტრედიელებს, იქნება ეს გზების გაკეთება,

მოხუცებისათვის წამლების ყიდვა და ასე შემდეგ. ამას იგი უანგაროდ აკეთებს.

— რას უსურვებთ და ურჩევთ სამტრედიელ ხალხს?

— ყველა ქართველს, მთელ მოსახლეობასა და სამტრედიელებს ვუსურვებ წარმატებებს. პირველ რიგში, 4-5 წელიწადში არჩევნები უპირატესობაა და პარლამენტში ისეთები კი არ უნდა იყვნენ, ვინც ახლა იწყებს კეთილი საქმეების კეთებას, არამედ ისინი, ვისაც მანამდე უკეთებია. გია მიქელაძეს დამტკიცებული აქვს, რომ საქმის კეთება შეუძლია, ბევრი კეთილი საქმე გაუკეთებია, ხალხს დახმარებია. უფრო უპრიანი იქნება, თუ ოფიციალური პოსტი ექნება. არიან ებრაელები, რომელთაც უნდათ საქართველოში ინვესტიციის ჩადება, მაგრამ ისინი ფრთხილობენ, რადგან ბევრია შემპირებელი, შემსრულებელი კი ნაკლები. გია მიქელაძე იქნება დიდი ნდობის ნიშანი, გია იქნება კაცი, რომელიც თავისი კავშირებით, კონტაქტებით

მთელ მსოფლიოს შესძრავს. სამტრედია დიდი ეკონომიკური პოტენციალის მქონე რაიონია, სამტრედიას შეუძლია აყვავდეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის მიმართულებით, რასაც ხელშეწყობა უნდა და ყველაფერ ამის გამკეთებელი არის გია მიქელაძე.

გრიგოლ ვაშაკიძე
ია კარკაძე

"ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" სამტრედიის საარჩევნო შტაბის პრესსამსახური

ებიან ჩემი შვილები. სკოლა ჩემს სოფელში დავამთავრე. მერე სასწავლებლად თბილისში წავედი. გურიის გუბერნატორად მუშაობისას სამტრედიიდან დავდიოდი კიდეც. აქ ბევრი მეგობარი, ნაცნობი და ბუნებრივია, ნათესავი მყავს. უბრალოდ, აქამდე ჩართული არ ვიყავი აქაურ, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლიტიკურ ცხოვრებაში.

— ახლა მეტ-ნაკლებად ეცნობით აქაურ პოლიტიკურ რეალობას. როგორია მშობლიური რაიონის სინამდვილე, რით განსხვავდება ან ჰგავს იგი გურულს? ნუ, გურულ პოლიტიკაზე ნუ ვისაუბრებთ, იგი "სახელგანთქმულია" ...

— სამტრედიაც საქართველოს ნაწილია და ბუნებრივია, აქაც იგივე მდგომარეობაა, რაც დანარჩენ საქართველოში. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სიღარიბეში ცხოვრობს. დღეს ქართული რეალობაა ის, რომ დაახლოებით მილიონ ორასი ათასი ადამიანი ითხოვს უმწეობის პროგრამაში ჩართვას. საზოგადოების დიდი ნაწილი ბანკებიდან აღებული სესხების ანგარიშზე ცხოვრობს, რაც კიდევ უფრო აღარიბებს მათ. მაგრამ ერთია სტატისტიკით საუბარი და სხვაა, როცა ამას საკუთარი თვალით ნახავ. მოსახლეობასთან შეხვედრებისას სიღარიბე და უმუშევრობა თვალში საცემია. პაატა ბურჭულაძის ბლოკს აქვს სიღარიბის დაძლევის კარგად განსაზღვრული გეგმა და მე მზად ვარ, ნებისმიერ დაინტერესებულთან მასზე ძირეულად ვისაუბრო.

— ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სარკინიგზო კვანძის ფუნქცია სამტრედიას მნიშვნელოვან ეკონომიკურ დატვირთვას აძლევდა. წლების წინ იგი ქვეყნის ეკონომიკაში ხმამაღალ სიტყვას ამბობდა არა მხოლოდ რკინიგზის, სხვა სტრატეგიული დანიშნულების წარმოება-დაწესებულებების, ფაბრიკა-ქარხნების მეშვეობით. ამ ინდუსტრიის რღვევის გამომწვევ მიზეზებზე საუბარი საბჭოთა კავშირის დაშლიდან დაწყებული შორს წაგვიყვანს. მხოლოდ იმაზე გავამახვილოთ ყურადღება, რომ წინა ხელისუფლების პირობებში დაწყებულმა ცენტრალიზაციამ რკინიგზელთა ქალაქს კვანძის ფუნქცია ერთგვარად წაართვა და რკინიგზის განყოფილებისა და ბევრი სხვა სარკინიგზო საწარმოს დედაქალაქში გადატანით სარკინიგზო ეკონომიკაზე აწყობილი სამტრედია, ფაქტობრივად, ჩიხად აქცია. რამდენად იქნება ამ პრობლემის მოგვარება გათვალისწინებული თქვენს საარჩევნო პროგრამაში მაშინ, როცა სამტრედიის, როგორც ინდუსტრიული ცენტრის განვითარებას გეგმავთ?

— დიახ, სამტრედია ნამდვილად გახლდათ ერთგვარი ეკონომიკური ფლაგმანი და მას აქვს შესაძლებლობა რეგიონში ეკონომიკური ჰაბი გახდეს. მაგრამ ეს ცალკე სამტრედიაში ვერ მოხდება. ცალკეული რეგიონის ეკონომიკური აღმავლობა ქვეყნის ეკონომიკაზეა მიბმული და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლით განისაზღვრება. ამაში, ალბათ, ახალი არაფერია. მე ამომრჩეველთან შეხვდრებზე ვნახე არაერთი ადამიანი, რომელსაც ხელისუფლება აშანტაჟებს, რომ თუ არ მისცემენ ხმას, მოუხსნიან უმწეოთა დახმარებას...

— ... ამის დადასტურება შეგიძლიათ?

— კი, შემიძლია, თუ ამ ადამიანების ნება-სურვილი იქნება გამჟღავნდეს მათი სახელი და გვარი! ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლისთანავე შემცირდება საშემოსავლო გადასახადი, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით დღეისათვის 170 ლარი იხარჯება ერთ ადამიანზე. ჩვენ გვინდა, რომ გავზარდოთ იგი 250 ლარამდე და ამაში უნდა შედიოდეს მედიკამენტოზური მკურნალობაც. ამის რეალური რესურსი არსებობს, ეს არ არის ჰაერიდან მოტანილი ციფრები. უნდა აღიკვეთოს გაბერილი ბიუროკრატია და ეს მნიშვნელოვან შედეგს მისცემს ქვეყნის ეკონომიკას. შვეიცარია თუ იმართება 7 სამინისტროთი, რატომ არ არის ამის შესაძლებლობა საქართველოში? ერთი სამუშაო ადგილის შექმნას, სადაც საშუალო ხელფასი 800 ლარია, სჭირდება, დაახლოებით, 30 ათასიანი ინვესტიცია. პირველ ეტაპზე ეს ცოტა გაჭირდება, მაგრამ თუ ქვეყანაში შევქმნით ხელსაყრელ საგადასახადო გარემოს, ამასთანავე, სასამართლო იქნება დამოუკიდებელი და ასე შემდეგ, შეგვეძლება ბევრი საჭირო ინვესტიციის მოძიება.

— მაშინ იყო სასამართლო დამოუკიდებელი, როცა თქვენ ხელისუფლებაში ბრძანდებოდით?

— მე ჩემს საქმეს ვაკეთებდი, ვმუშაობდი თავდაცვის სამინისტროში, კონტროლის პალატაში და არ გამოვირჩეოდი განსაკუთრებული პოლიტიკური აქტიურობით. რა თქმა უნდა, იმ დროს ჰქონდა პრობლემები სიტყვის თავისუფლებასთან, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. თუმცა, დღესაც, თუკი მურუსიძე შეიძლება იყოს მოსამართლე, სასამართლოს დამოუკიდებლობაზე საუბარი ფუჭი მცდელობაა.

— დღესაც საკრებულოს დამოუკიდებელი წევრი ხართ ...

— ამ დროისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელი წევრი ვარ. რაც შეეხება სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილედ ჩემი მუშაობის პერიოდს, არაერთი კარგი ინფრასტრუქტურული პროექტი განვახორციელეთ გურიაში და ვამაყობ ამით, თუმცა, როცა ამის აუცილებლობა დავინახე, მე საკუთარი განცხადებით დავტოვე თანამდებობა. მუშაობა არასამთავრობო ორგანიზაციაში გავაგრძელე, ინვესტიციებისა და განვითარების ფონდს ჩავუდექი სათავეში, რითაც ძალიან ვამაყობ, რადგან მართლა ბევრი კარგი და კეთილი საქმე გავაკეთე მისი მეშვეობით. რა ხდება იცით? როცა ხელისუფლება იცვლება, ხდება ისე, რომ პრეზიდენტი ერთი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელია, პრემიერ-მინისტრი მეორე გამარჯვებული სუბიექტისა. ისინი თანაარსებობენ ერთმანეთთან. მაგრამ დასავლეთში, ევროპაში ეს ჩვეულებრივი ფაქტია.

— ქართული ხასიათიდან გამომდინარე ეს ცოტა გაჭირდება საქართველოში...

— ხასიათი არაფერ შუაშია. საქართველოში ამის არც გამოცდილება არსებობს და არც პოლიტიკური კულტურა. ჩვენ სახელმწიფოებრივი აზროვნების და ცნობიერების დეფიციტი გვაქვს. ამ დროს არა ზოგადად საზოგადოებაზე, არამედ იმ პასუხისმგებელ პირებზე უნდა ვისაუბროთ, რომლებიც ხელისუფლებას წარმოადგენენ. საერთოდ დემოკრატია იმგვარი ფუნდამენტია, რომ ერთი მხრივ ეფუძნება არჩევითობას, მეორე მხრივ კი სამართლიან სასამართლოს. ეს ორივე კომპონენტი დემოკრატიის აუცილებელი პირობაა.

გიორგი მელია მსოფლიო ჩემპიონია!

გილოცავთ!

ნათია ნაცვლიშვილი



მიმდინარე წლის 29-31 აგვისტოს ჩათვლით საფრანგეთის ქალაქ მაკონში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ამ ჩემპიონატზე საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენთა შორის იყო გიორგი მელიაც. იგი სამტრედიის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) მოჭიდავეა. 20 წლის სპორტსმენმა 96 კგ. წონით კატეგორიაში იასპარეზა და მსოფლიო ჩემპიონობა არავის დაუთმო.

"სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა გიორგის მწვრთნელს, გიორგი ვახტანგაძეს. ბატონი გიორგი 30 წელზე მეტი ხნის სამწვრთნელო პრაქტიკის მქონეა. გიორგის ის მე-4 კლასიდან ავარჯიშებს, ამდენად, მის შესახებ სასაუბროც ბევრი აქვს.

გიორგი ვახტანგაძე: "გიორგის ოჯახი აფხაზეთიდან დევნილია, 8 წლის ბიჭუნა იყო, როცა ჩემთან სავარჯიშოდ მამამ მოიყვანა. იმთავითვე გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობითა და მიზანდასახულობით. სკოლის ასაკშივე არაერთ ტიტულოვან შეჯიბრში გაუმარჯვნია, არის საქართველოსა და საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული, საქართველოს ნაკრების წევრი, მიმდინარე წელს იგი ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა, როდესაც ის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ სამტრედიაში დაბრუნდა, ჩემი უახლოესი მეგობრის, ბატონი რამაზის, გიორგის მამის საფლავზე გავედით, იქ გიორგიმ ფიცი დადო, რომ მსოფლიო ჩემპიონატიდან ოქროს მედლით დაბრუნდებოდა და როდესაც გიორგიმ ფინალში იჭიდავა, გამარჯვება მოიპოვა, სიხარულის ცრემლი მომერია.

გიორგიმ პირველ შეხვედრაში შვეიცარიელი სპორტსმენი ანგარიშით 4 : 0- დაამარცხა, შემდეგ იაპონელს ანგარიშით 7 : 1 სძლია, ნახევარფინალში ამერიკელი სპორტსმენი დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 12 : 8 დაამარცხა, ხოლო ფინალში ბელარუსის სახელით მოასპარეზე სიჩიევი ანგარიშით 4 : 3 დაამარცხა. ვულოცავ გიორგის და მის ოჯახს ამ დიდ გამარჯვებას, ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის უდიდესი ბედნიერებაა, როცა ხედავ, შენი აღზრდილი ასეთ მაღალ კვარცხლბეკზე მდგომი ისმენს საქართველოს ჰიმნს და იცავს ქვეყნის ღირსებას".

სულ ცოტა ხნის წინ "სამტრედიის მაცნემ" სიამაყით ამცნო მკითხველებს გიორგის ევროპის ვიცე-ჩემპიონობის შესახებ, საჭიდაო კლუბ "ფალავანის" მწვრთნელ-პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში ვეფხია სტურუა, დარწმუნებული იყო, რომ ტიტულოვანი სპორტსმენი გიორგი მელია, მსოფლიო ჩემპიონატიდან გამარჯვებული დაბრუნდებოდა, გიორგიმ არაერთი გულშემატკივრის მოლოდინი და ვარაუდი გაამართლა. მან პირველობა არავის დაუთმო.

ვუსურვებთ გიორგის, მომავალში დიდ გამარჯვებას!

ლაყმარცხეული მარიამ გოთოშია ჭაბუკებშიც პირველია

22-27 აგვისტოს ქ. ტყიბულში ჩატარდა რესპუბლიკური ფესტივალი "ტყიბული _ 2016". 9 წლის მოჭადრაკე მარიამ გოთოშიამ ამჯერადაც ბრწყინვალედ იასპარეზა ვაჟებში, ყველა პარტია მოიგო და მხოლოდ ბოლო ტურში "გაიმეტა" ნახევარი ქულა ვაჟებისათვის. მარიამმა 7-დან, 6,5 ქულით ღირსეული პირველი ადგილი მოიპოვა ჭაბუკებთან პაექრობაში და დაჯილდოვდა ოქროს მედლით, სიგელითა და ფულადი პრიზით (მწვრთნელი ბესო ლეჟავა)

ოქტომბერში მარიამ გოთოშია მონაწილეობას მიიღებს ასაკობრივ პირველობაზე მსოფლიო ჩემპიონატში. ვუსურვოთ ნიჭიერ გოგონას, საპრიზო ადგილით, მსოფლიო ჩემპიონი დაგვიბრუნდეს სამტრედიაში!

გულიკო გოგიტიძე
ფიზიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

სამტრედიელ კარატისტთა წარმატება

2016 წლის 24-28 აგვისტოს ქ. ოზურგეთში ჩატარდა "ალპაგუთის" მსოფლიო ფედერაციის "მსოფლიო თასის" ჩემპიონატი აღმოსავლურ ორთაბრძოლებში. მონაწილეობდნენ 6 ქვეყნის სპორტსმენები, მათ შორის ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის კარატეს ჯგუფის წევრები (დირექტორი ივანე კილტავა, მწვრთნელი სენსეი მიხეილ ქანთარია). წარმატებით იასპარეზეს და ჩემპიონის ტიტული და პირველი ადგილები დაიკავეს: გოგონებში 55 კგ-მდე წონით კატეგორიაში მანანა მუქერიამ, 50 კგ-მდე წონით კატეგორიაში მარიამ გოგიტაურმა; ვაჟებში 50 კგ-მდე წონით კატეგორიაში მურმან დერბიშმა, 30 კგ-მდე წონით კატეგორიაში ნიკა ნიკურაძემ.

მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ვაჟებში თორნიკე გაგუამ.

ჩემპიონატის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის სენსეი მიხეილ ქანთარია "მსოფლიო თასის" ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა ოქროს მედლითა და დიპლომით დააჯილდოვა.

წარმატებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მედლებითა და თასებით.

მიხეილ ქანთარია, კარატეს ჯგუფის მწვრთნელი: "მადლობას ვუხდით სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობას სპორტის, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურისა და კომპლექსური სპორტსკოლის ხელმძღვანელობას მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. მსგავსი წარმატებებით მომავალშიც ბევრჯერ გავანებივრებთ სამტრედიას და სამტრედიელებს".

ნინო ნანიტაშვილი

სოფიკო კიკაჩეიშვილი მამის საქმიანობას გააგრძელებს

ნინო ნანიტაშვილი

"საქართველოს რკინიგზის" მგზავრთა გადაყვანის დირექტორმა, დავით გელაშვილმა სამტრედიის სერვისცენტრის თანამშრომლებს 26 აგვისტოს ახალი უფროსი წარუდგინა.

24 წლის სოფიკო კიკაჩეიშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე 24 აგვისტოს "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის, მამუკა ბახტაძის ბრძანების საფუძველზე დაინიშნა. სპეციალობით ფსიქოლოგი, 24 წლის ახალგაზრდა მანამდე "საქართველოს რკინიგზის" დეპარტამენტის კანცელარიაში სპეციალისტად მუშაობდა. სოფიკო პარალელურად ტექნიკურ უნივერსიტეტში მაგისტრატურაზე სწავლობს.

როცა მან სამტრედიის მგზავრთა სერვისცენტრის უფროსის ვაკანტურ ადგილზე შეთავაზება მიიღო, რკინიგზელთა ოჯახში დაბადებულმა და გაზრდილმა თანხმობა მაშინვე განაცხადა. ბევრი სამტრედიელისთვის ცნობილია, რომ სოფიკო კიკაჩეიშვილი აწ გარდაცვლილი კირილე კიკაჩეიშვილის ქალიშვილია.

ბატონი კირილე ვაგზლის უფროსის მოვალეობას 2004 წლიდან 2016 წლის 19 მაისამდე იკავებდა.

დავით გელაშვილმა სამტრედიაში ახალი უფროსის წარდგენისას ძველი კადრი დადებით კონტექსტში მოიხსენა და წუთიერი დუმილით მის ხსოვნას პატივი მიაგო "40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც "საქართველოს რკინიგზამ" დაკარგა ერთი ღირსეული და პატივსაცემი ადამიანი, კირილე კიკაჩეიშვილი. გთხოვთ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ მის ხსოვნას. მინდა, აღვნიშნო, რომ კირილე კიკაჩეიშვილი იყო კარგი უფროსი, შესანიშნავი პიროვნება, პროფესიონალი რკინიგზელი, დიდი სტაჟის მქონე თანამშრომელი, მოწესრიგებული ოჯახის მამა.

დღეს გასახარად ისღა დაგვრჩენია, რომ კირილე კიკაჩეიშვილის ადგილზე შემოგთავაზოთ მისი ქალიშვილი, სოფიკო კიკაჩეიშვილი. დარწმუნებული ვარ, რომ მამის საქმიანობას იგი ღირსეულად გააგრძელებს და დიდ კოლექტივს თავს შეაყვარებს". _ განაცხადა დავით გელაშვილმა.

სამტრედიის სერვისცენტრისა და მასზე დაქვემდებარებული აბაშის, სენაკის, ხობის, ლანჩხუთის, ჯუმათის სადგურებში, უფროსის ჩათვლით, 30 თანამშრომელია. ძირითადი ფუნქცია რკინიგზის ტრანსპორტით მოსარგებლე მგზავრთა მომსახურებაა.

სამტრედიის კოლექტივი მათ რიგებში გამოზრდილ სოფიკო კიკაჩეიშვილს სიხარულითა და მომავლის იმედებით შეხვდა.

უფროსის კაბინეტში სოფიკო კიკაჩეიშვილმა მამის სავარძელი 26 აგვისტოდან დაიკავა და "საქართველოს რკინიგზაზე", ერთ-ერთ სერიოზულ და საპასუხისმგებლო საქმიანობის შესრულებას შეუდგა.

წლის ბოლოს შევხვდებით ერთმანეთს

ნინო ნანიტაშვილი

მუნიციპალიტეტის გამგებელი საქტო დარბაზში შეკრებილ სპორტსმენებთან მივიდა და ხელი სათითაოდ ჩამოართვა. ამით ვალერიანე ფოცხვერიამ მისი მათდამი განსაკუთრებული პატივისცემა და მოწიწება გამოხატა.

სამტრედიის თაგკაცს გულწრფელად ახარებს მუნიციპალიტეტში დაფრთიანებული ახალგაზრდების წარმატება. ამ დღეებში სამტრედიელმა სპორტსმენებმა მსოფლიო ჩემპიონატში იასპარეზეს და მედლებით დაგვიბრუნდნენ.

ერთი მეორის მიყოლებით გამართული ორთაბრძოლების გამარჯვებულებს მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის და სპორტის სამსახურმა ერთობლივი შეხვედრა 6 სექტემბერს გაუმართა. ადგილობრივი თვითმმართველობის ოფიციალურმა პირებმა მილოცვებთან ერთად ახალგაზრდებს სამომავლო წარმატებებიც უსურვეს.

გიორგი მელიას მსოფლიო ჩემპიონობამ მთელი საქართველო აალაპარაკა. აფხაზეთიდან დევნილ ოჯახში აღზრდილ სპორტსმენს დღეს სამტრედია არანაკლებ გულშემატკივრობს, რადგან გიორგის მშობლები წლების წინ სამტრედიამ შეიკედლა და ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაზე მელიების ოჯახი დღემდე ბინადრობს.

ღონისძიების დროს რამდენჯერმე ითქვა, რომ წარმატებულ სპორტსმენებთან შეხვედრის მთავარი გვირგვინი გიორგი მელია იყო. მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებას სამტრედიელი ფალავანი კი ასე იგონებს: "ევროპაზე, მოგეხსენებათ, ფინალური შეხვედრა წავაგე რუს სპორტსმენთან. ეს კი ამ წლის პიკი, ბოლო შეჯიბრება იყო და ევროპიდან რომ დავბრუნდი, მივედი მამაჩემის საფლავთან და ფიცი დავდე, თუ წავაგებდი, საქართველოში აღარ დავბრუნდებოდი. ყველაფერი შევძელი ღმერთის შემწეობით, ჩემი შრომითა და მწვრთნელების დახმარებით მოვიპოვე მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ჩემს ყველა გამარჯვებას მამაჩემის სულს ვუძღვნი". ცნობისათვის, გიორგი მელიამ მამა 4 წლის წინ დაჰკარგა. იგი ძალიან ახალგაზრდა წავიდა ამქვეყნიდან.

გიორგი ვახტანგაძე, მწვრთნელი: "რა თქმა უნდა, გიორგიმ ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია. ივნისში ევროპის ჩემპიონატიდან გახდა ევროპის ვიცე-ჩემპიონი. მას შემდეგ მოყოლებული ძალიან ბევრი წვრთნა გაიარა, ემზადებოდა მსოფლიო ჩემპიონატისთვის. 30 აგვისტოს ძალიან გაგვახარა, გაიმარჯვა ბელარუს სპორტსმენთან, რომელსაც ფინალში შეხვდა. იგი ძლიერი მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ გიორგიმ დაჯაბნა და 4 : 3 გაიმარჯვა, მოიპოვა ოქროს მედალი. გიორგი მელია არის მომავალი ოლიმპიელი. ღმერთმა შეისმინოს _ გიორგი იჭიდავებს ოლიმპიადაზე 2020 წელს. გიორგი მელიას მე-4 კლასიდან ვწვრთნი, 12 წელიწადი გავიდა მას შემდეგ. 4 წელია საქართველოს ნაკრებშია".

სამტრედიელებს სიამაყის განცდა გაუჩნდათ მაშინაც, როცა კულაშელმა შმაგი თოდუამ საფრანგეთში ფრანგი სპორტსმენი ბეჭებზე დადო.

შეხვედრაზე შმაგის მისამართით გაკეთებულმა შეფასებებმა ბევრჯერ გაიჟღერა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მისი მწვრთნელის, ბიძინა მელაშვილის დახასიათება იყო: "შმაგი შესანიშნავი ყმაწვილია, ძალიან მონდომებულია. მთელი სული და გული აქვს ჩადებული ამ სპორტში. უნდა, რომ 2020 წლისთვის იჭიდაოს ოლიმპიადაზე. საფრანგეთში არ გაუმართლა. ერთი მოჭიდავე ჰყავდა თურქი, რომელიც გაისად აღარ ეყოლება. დარწმუნებული ვარ, 2017 წლის ევროპიდან შმაგი ოქროთი დაგვიბრუნდება. აქვე მინდა, ვთქვა: ერთი შეჯიბრი დაგვრჩა ჭაბუკებში მსოფლიოს პირველობაზე, ჩვენი ქალაქელი ბიჭი გამოდის, მესამესკოლელი ელგუჯა ბალანჩივაძე, ველოდებით მისგან წარმატებას, 17 სექტემბერს იჭიდავებს. სხვათა შორის, თბილისში ტარდება მსოფლიო პირველობა. მინდა, აქედან მივულოცო წინასწარ და წარმატება ვუსურვო ელგუჯა ბალანჩივაძეს".

შმაგი თოდუა, მსოფლიო პრიზიორი: "ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირი მსოფლიო ჩემპიონატი იყო. სასიხარულო გახლდათ მე-3 ადგილის მოპოვება, თუმცა შემეძლო ფინალშიც გავსულიყავი, მაგრამ დასანანია, რომ დავთმე ნახევარფინალი, ძალიან დავიღალე, წინაზე ინდიელ სპორტსმენს შევხვდი და შემდეგ დავმარცხდი თურქ სპორტსმენთან. უფლის წყალობით გამოვასწორე, მესამე ადგილზე გასვლისთვის მოვუგე ფრანგ სპორტსმენს, საკმაოდ კარგი ანგარიშით _ 11-ით 6-ი და გავხდი მსოფლიო პრიზიორი. ბედნიერი ვარ, რომ გავახარე ჩემი ოჯახი, გულშემატკივარი, სრულიად საქართველო. მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, წინ მაქვს ყველაფერი, მომავალში ოქროს მოვუტან ჩემს საქართველოს, ვასახელებ ქართველებს. ჩემი ბრინჯაო მივუძღვენი ყველას, ვისაც გაუხარდა ჩემი გამარჯვება".

მარიამ გოთოშიას გამარჯვებები ჩვენს მუნიციპალიტეტს უკვე აღარ აკვირვებს. მარიამს ტყუილად კი არ შეარქვეს ბიჭების რისხვა. ივი გოგონებს შორის ჩემპიონობას აღარ სჯერდება და ტურნირებიდან გულდაწყვეტილებს უკვე ვაჟებსაც უშვებს.

ასევე შეიძლება ითქვას მიშა ქანთარიას კარატისტებზე. სენსეი კლუბის დაარსების დღიდან გამარჯვებულის კვარცხლბეკიდან არ ჩამოდის. წელსაც ასე მოხდა და თავის კარატისტებთან ერთად გამგეობაში შეხვედრაზე ისიც დიდი პატივისცემით მოიწვიეს. იმ დღეს რამდენჯერმე გაიჟღერა ბოშა კარატისტის, ეწრელი მურმან დერბიშის გვარმა, რომელიც მსოფლიო თასის მფლობელი პირველი ბოშა კარატისტია.

სპორტსმენებთან აუდიენცია სპორტის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა მაკა უგულავამ გახსნა და რამდენიმე სიტყვით დარბაზს სამტრედიელი წარმატებული სპორტსმენების მიღწევებზე მოკლე ინფორმაცია მიაწოდა. შემდეგ მწვრთნელებმა ისაუბრეს, თავიანთ ფალავნებს და ასევე ადგილობრივ ხელისუფლებას ფინანსური და მორალური მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადეს.

სააქტო დარბაზში შეკრებილების წინაშე ვრცელი სიტყვით გამოვიდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია: "მეც დიდი სიამოვნებით ვუერთდები მილოცვებს, ეს ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმატებაა. განსაკუთრებით მინდა, გიორგი მელიას გამარჯვება გამოვყო. ის აფხაზეთიდან დევნილია, მან ერთდროულად ასახელა აფხაზეთი და სამტრედია. გიორგის ორთაბრძოლებს აქტიურად ვადევნებდით თვალს და მომავალშიც მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს.

არც შმაგი თოდუას წარმატებაა პატარა საქმე. საფრანგეთში ფრანგის დამარცხება იოლი არ გეგონოთ.

მიშას კარატისტების მიღწევებზე თვალი და ყური შეჩვეული გვაქვს. იაპონიაში გამგზავრების წინ მაქსიმალურად შევეცდებით, პრობლემები დროზე ადრე მოვუგვაროთ.

რაც შეეხება მარიამ გოთოშიას, მჯერა, იგი ნონასა და მაიაზე ნაკლები არ იქნება. სასიამოვნოა, რომ ჩვენი საჭადრაკო კლუბი ასე წარმატებით გამოდის ქვეყნის მასშტაბით. ყოველი წლის ბოლოს სამტრედიის მუნიციპალიტეტი აჯილდოვებს წარმატებულ სპორტსმენებს. მინდა, წინასწარ გითხრათ, თქვენ ყველანი ნომინანტები ხართ და წლის ბოლოს კვლავ შევხვდებით ერთმანეთს.

ვიცი, რომ ძალიან რთულ პირობებში გიწევთ მუშაობა და წვრთნა. ერთი მშვენიერი სპორტის სასახლის აუცილებლობას თქვენი მიღწევები მოითხოვს.

განსაკუთრებით მწვრთნელებს მინდა, მადლობა გადავუხადოთ. ჭადრაკს, ჭიდაობას, კარატეს მარტო ძალა არ სჭირდება. ყველაფერთან ერთად თითოეულის შემთხვევაში მწვრთნელის როლი დიდია, გამოავლინოს კარგი ტალანტის მქონე ახალგაზრდა".

წარმატებულ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს მიესალმნენ და მუნიციპალიტეტის დადებითად წარმოჩენისათვის მადლობა გადაუხადეს საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, კობა ძიძიგურმა, გამგებლის მოადგილეებმა, დავით ბახტაძემ და ლიზა კრავეიშვილმა, საკრებულოს წევრმა, ბადრი შენგელიამ, კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორმა, ვანო კილტავამ.

ჯერ წყალი ლა მერე გზა!

ნინო ნანიტაშვილი

"ამინდი ირევა, ხალხს მოსავლის გამოტანაზე პრობლემა ექმნება". _ ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ვალერიანე ფოცხვერიამ ერთ-ერთ საკითხად ბორანის თემა წამოსწია და იქვე დაამატა, რომ შემოდგომის მიჯნაზე ყველაზე დასაჩქარებელი ეს უკანასკნელია. იგივე აზრს იზიარებს გამგებლის წარმომადგენელი ეწრის თემში, რევაზ ივანიაძეც.

პრობლემის პარალელურად თათბირზე პოზიტიურმა ამბებმაც გაიჟღერა. წინა კვირაში სამტრედიის მუნიციპალიტეტი სპორტული მიღწევებით მსოფლიო და რესპუბლიკურ ასპარეზობებზე წარმოჩნდა. კულტურის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა მაკა უგულავამ ვალერიანე ფოცხვერიას კულტურისა და განათლების სფეროში ინტელექტუალური მიმართულებით წარმატების შესახებაც აუწყა.

"წელს პირველად ჩატარდა თბილისში ღია ჩემპიონატი ინტელექტუალური თამაშების "რა? სად? როდის?" ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობა 14 ქვეყნიდან ჩამოსულმა გუნდებმა მიიღეს. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინტელექტუალმა "ინტერსტელარმა" მიიღო აღნიშნულ ჩემპიონატში მონაწილეობა. საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენა, გაუსწრო რეიტინგით რამდენიმე ქართულ გუნდს და სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდებს. ჩემპიონატი რუსულ ენაზე წარიმართა, რასაც კარგად გაართვეს ჩვენებმაც თავი".

"ორდღიანმა წვიმამ ქალაქის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების გაუმართაობა გამოავლინა. მიუხედავად იმისა, რომ არხები გაიწმინდა, ბოგირები მოწესრიგდა, ატმოსფერული ნალექების გატარებაში სერიოზული ხარვეზები მაინც არის", _ ითქვა გამგებლის მხრიდან. ყველაზე მთავარი პრობლემა კი ბოგირებზე გადმოდგმული მაღაზიებია" _ იქვე დასძენს ვალერიანე ფოცხვერია.

გორმაღლის მოსახლეობას "ალტკომთან" ურთიერთობა დაეძაბა. სოფელში გამგებლის წარმომადგენლის, ხათუნა ლებანიძის თქმით, გორმაღალს უკრაინული კომპანიიდან ზარალის მეტი არაფერი მიუღია. მიწას, რომლითაც სოფელი იკვებება, დაუცველია.

"ფიცრებით შეკრული ჭიშკარი დადგეს, რომელიც მუდმივად ღია გვხვდება. იქ საქონელი შედის და მოსავალს გვინადგურებს. კომპანიამ უზრუნველყოს ნორმალური ჭიშკრისა და ურდულის გაკეთება. ეს, უბრალოდ, ჩვენი მოსახლეობის მასხრად აგდებაა". ვალერიანე ფოცხვერიამ თათბირის მონაწილეებს ორი სასიხარულო ინფორმაცია მიაწოდა: იანეთში, მესხების უბანში გაზიფიცირების სამუშაოები დაიწყება და ბაძგნარის ხიდიდან იანეთის სკოლამდე ასფალტის გზა დაიგება.

დაბა კულაშში მოსახლეობის გაღიზიანებას ისევ იწვევს ელექტროენერგიის გამორთვები. რამდენი გაწვიმდება, დასახლებას 15-20 წუთის განმავლობაში ძაბვა ეთიშება, რაც ლადო სოხანეიშვილის შეფასებით კულაშელებს ავადმყოფობასავით დასჩემდათ. გამგებლის წარმომადგენელმა გამგებელს იმ დღეს რუსთაველის ქუჩაზე 5 სართულიანი კორპუსის დაზიანებული სახურავი და ბოლო სართულზე მცხოვრები მობინადრეების პრობლემა შეახსენა. თავისი გამოსვლის ბოლოს ლადო სოხანეიშვილმა საფრანგეთიდან დაბრუნებული კულაშელი შმაგი თოდუას გამარჯვება ყველას მიულოცა.

ნიგორზღვაში სასმელი წყლის პრობლემა მეტ-ნაკლებად დარეგულირდა. საჯავახოს თემში გრაფიკი შეიმუშავეს და წყალს მოსახლეობას ეტაპობრივად აწვდიან. თავის გამოსვლაში შავლეგ თარგამაძე დაგვიანებით მიწოდებული წყლის მილების თემასაც შეეხო.

ვალერიანე ფოცხვერია ნიგორზღველებს ამ ეტაპზე მხოლოდ თანაგრძნობას უცხადებს. მუნიციპალიტეტის გამგებლის პოზიცია უცვლელია: მოსახლეობას ჯერ სასმელი წყლის პრობლემა უნდა მოუხსნას და შემდეგი უნდა იყოს გზა. ამას რაიონის თავკაცი სწორ მიმართულებას უწოდებს.

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ასევე ითქვა: ეწერში ნაპირსამაგრი სამუშაოები უამინდობამ შეაფერხა, ბაშში კილომეტრ-ნახევრის ნაცვლად ერთი კილომეტრი არხი გაიწმინდა, ოფეთში მაღალი ძაბვის გადამცემ ანძებზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა 23 სექტემბრისთვის შემოდგომის ზეიმის გამართვა დააანონსა.

გაცინებენ, გაბრაზებენ, გახედებენ სარკეში

ქეთევან ჭელიძე

სამტრედიაში ჩამოვიდა და რედაქციაში რამდენიმე წუთით შემოირბინა, მეგობრები მოინახულა. სახელდახელოდ "ლადის" წევრების კარიკატურები დახატა და ინტერვიუზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა.

კემოს, იგივე ნიკოლოზ კემულარიას, ბევრის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. ვინც არ იცნობს, საშუალება ეძლევა, ძალიან საინტერესო ადამიანის შესახებ ბევრი რამ შეიტყოს. ქართველების ნიჭიერებაზე თუ ვინმეს წარმოდგენა უნდა შეეუქმნათ, მაგალითად, კემოც გამოდგება. უსაზღვრო გონებრივი შესაძლებლობა, შემოქმედებითი მრავალფეროვნება, მოხდომება, შრომისმოყვარეობა, მიზანდასახულობა, ახლის ძიების სურვილი _ ასეთად იცნობენ მას საქართველოში. მის ნიჭიერებას გეოგრაფიული ჩარჩოები ვერ იტევს და კემოს, როგორც მხატვარ-კარიკატურისტს, მსოფლიოშიც იცნობენ.

მისი ნამუშევრები გაცინებენ, გაბრაზებენ, ხელახლა გახედებენ სარკეში საკუთარი თავის უკეთ შესაცნობად. მახვილი მზერა, თვალის ერთი შეკვლება, მცირეოდენი შტრიხიც კი საკმარისია, ვიზუალურ მხარესთან ერთად პიროვნების სულისმიერიც გამოჰფინოს. ამისთვის კი, როგორც თვითონ ამბობს: "აუცილებელია გრაფიკული ხელი, მაღალი ხარისხით ხატვა და ანატომიის ცოდნა".

კარიკატურა არის "ნახატი, რომელზედაც ვინმე ან რაიმე განზრახ დამახინჯებულად, სასაცილოდ არის გამოხატული". ასეთ ნახატებს, ცხადია, თავისი დანიშნულება აქვს, ისტორიამ იცის სხვადასხვა პოლიტიკური თუ სოციალური ხასიათის კარიკატურა, რომლითაც აუცილებელ სათქმელს იუმორით ამბობდნენ. კარიკატურა არც მარტო პიროვნული ნაკლის ჩვენების ორიგინალური ხერხია, ის უკეთესობისკენ შეცვლის ბიძგსაც წარმოადგენს. თუმცა, კარიკატურის მიმართ საზოგადოების მიდგომა ერთნაირი არ არის და, როგორც ჩვენი რესპონდენტი იხსენებს, ზოგიერთს გადაუხვევია კიდეც მისი ნახატი. მიუხედავად ამისა, იგი ძალიან აქტუალური ჟანრია, მით უფრო, უცხოეთში და ქართველ კარიკატურისტებს ინტერნეტის მეშვეობით შანსი ეძლევათ, დაუსწრებლად მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა კონკურსში. ასე გახდა კემო 2009 წელს კალიფორნიაში გამართულ კონკურსში 147 მხატვარს შორის მე-2 ადგილის მფლობელი; 2013 წელს შევიდა მსოფლიოს საუკეთესო კარიკატურისტთა ათეულში; 2014 წელს კვლავ კალიფორნიაში მსოფლიოს 150 მხატვარს შორის გაიმარჯვა და მე-2 ადგილი მოიპოვა. ამ კონკურსში 1-ლი ადგილი ცნობილ კარიკატურისტს, ბესიკ დოღაშვილს ერგო. სწორედ მან გამოიყენა უფლება და შესთავაზა კომისიას, საკონკურსოდ ქართველი მსახიობის, სერგო ზაქარიაძის კარიკატურა დაეხატათ. კემო საზღვარგარეთ უფრო მოთხოვნადია, ვიდრე საქართველოში. მაგალითად, ერთ-ერთმა ჰოლანდიურმა გამომცემლობამ პრესაში დასაბეჭდად პუტინის კარიკატურა შეუკვეთა, რომელიც სარკეში იხედება და სტალინის ანარეკლს ხედავს. მსოფლიოს რვა მხატვართან ერთად ნიკოლოზ კემულარია დარეგისტრირებულია ავსტრალიურ საიტზე caricatureking. com, საიდანაც სისტემატიურად ღებულობს შეკვეთებს. "გამიხარდება, შეკვეთები საქართველოდან მქონდეს და ჩემი ქვეყნისთვის მემუშავა". _ დასძენს ის.



კემო კომპოზიტორ რამაზ კემულარიას ოჯახში დაიბადა. ბატონმა რამაზმა მრავალი კლასიკური ნაწარმოები შექმნა. ამჯერად საგალობლებზე მუშაობს. ცოტა ხნის წინ კი მან საქართველოს მარშების კონკურსში გაიმარჯვა. ვაჟა აზარაშვილის, სოსო კეჭაყმაძის კლასელიაო, _ გვიკონკრეტებს კემო.



სჯერა, რომ მისი ნამდვილი სახელი არავის ახსოვს. ნიკოლოზი რომ ვინმემ დამიძახოს, რეაგირება არ მექნებაო. სამაგიეროდ, "კემო" ბავშვობიდან აქტუალური იყო. მშობლებს უნდოდათ, რომ ისიც მუსიკოსი გამხდარიყო. ვიოლინოზე, გიტარაზე, საქსაფონზე, საყვირზე _ თითქმის ყველა საორკესტრო ინსტრუმენტზე ისწავლა დაკვრა. უცხო ენების შესწავლის სურვილიც გაუჩნდა, თუმცა მხატვრობამ მაინც გადასძალა და სამხატვრო აკადემიაში გრაფიკოს-დიზაინერის პროფესიას დაეუფლა.

კემო წარმოშობით, დედის მხრიდან, სამტრედიელია, დიდი ჯიხაიშელი. აქ მას ბევრი ნათესავი ჰყავს და შეძლებისდაგვარად ჩამოდის მათთან.

პირველად საბავშვო ბაღში დაუხატავს. მერე სკოლაში დაიწყო მასწავლებლების კარიკატურების ხატვა, რაც მისი ორიანების მიზეზიც გამხდარა. მათემატიკის მასწავლებელი "ბაბა იაგას" რომ დაამსგავსა, მაშინ ძალიან გაბრაზებულა, ახლა კი სიყვარულით იხსენებს იმ ამბავს.

კემო პარალელურად სხვა ჟანრშიც მუშაობს, თუმცა კარიკატურა მისთვის მაინც ძირითადია. ეცადა და ორიგინალური ნამუშევრები ხელწერებით, ლექსებით შექმნა, ნახატი ხურდა ფულითაც ააწყო. მიყვარს ასეთი თამაშებიო, ამბობს.

მრავალჯერ გამოიფინა სხვა მხატვრებთან ერთად, აქვს ოთხი პერსონალური გამოფენა. ორიგინალური იყო მისი კარიკატურ-ჩონჩხი, გამოფენა, სადაც ერთი და იგივე თავის ქალაზე სხვადასხვა ნიუანსების მორგებით სხვადასხვა ადამიანის სახეები შექმნა. გვიჩვენა, რომ ერთი მხრივ ყველანი ნიღაბს ვატარებთ და სხვასხვა ვიზუალს ვირგებთ, თორემ რეალურად ჩონჩხი ყველას ერთი გვაქვს. მომავალ წელს კიდევ ერთ პერსონალურ გამოფენას მოაწყობს, სადაც კინოფილმების სიუჟეტები კარიკატურებად იქნება წარმოდგენილი. მას 30 000 მაღალ დონეზე შესრულებული ნამუშევარი აქვს. აქციებზე კი ერთბაშად 100 კარიკატურას მაინც ხატავს. სულ, რაღაც, 3-5 წუთი სჭირდება მას ამისთვის. თბილისში, ალბათ, იშვიათად მოიძებნება ჟურნალ-გაზეთი, სადაც კემოს კარიკატურა არ დაებეჭდოს. იბეჭდებოდა "ნიანგში", "ტაბულაში", "კვირის პალიტრაში", და კიდევ სხვაგან. ორი პოლიტიკოსი რედაქციაშიც კი მივარდნილა თავიანთი კარიკატურების გამო. "ჯოხი მაინც რედაქტორზე გადატყდა, რადგან მე მხოლოდ შეკვეთა მივიღე და შევასრულე". _ იგონებს ის.

კემო მეუღლესთან და შვილთან ერთად

დღეს კარიკატურები მოთხოვნადი თითქმის აღარაა. მხატვრის განმარტებით, "ეს კულტურის შეცვლითაა გამოწვეული. განსაკუთრებით თბილისში ვადევნებ თვალს და ვხედავ, გაზეთის კითხვის ინტერესი დაჰკარგა ხალხმა. რატომ არის, რომ დიდ ბრიტანეთში ინარჩუნებს იგი თავის ფუნქციას. ადამიანები გამოდიან დილით, ყიდულობენ პრესას და ბრუნდებიან სახლებში. მათ აქვთ ინტერნეტიც და ტელევიზიაც. ჩვენთან, რატომღაც, ინტერნეტმა და "ფეისბუქმა" შეცვალა გაზეთი, ყველა სიახლეს სოციალური ქსელით ვიგებთ. მიაჩნია, რომ ხელოვანმა ადამიანმა უნდა მოინდომოს და ფარხმალი არ დაჰყაროს. ამჯერად თვითონაც უმუშევარია და მისი შემოსავლის წყაროს უცხოეთიდან მიღებული შეკვეთები წარმოადგენს.

"კარიკატურა იმპროვიზაციაა, _ გვიხსნის. _ ისევე როგორც ჯაზში არის ფონი და იმ ფონზე აკეთებ წარმოსახვით მუსიკას. ლექსს რომ ამბობენ და მაშინვე წერენ, ესეც იმპროვიზაციაა. კარიკატურაც იგივეა: უყურებ და ყოველგვარი შემზადების გარეშე ხატავ. ის სხარტი აზროვნების შედეგია, თავისთავად იუმორიც იგულისხმება, კარგი გრაფიკული მონასმიც, რომ რაზეც იფიქრებ, ხელმა გადმოსცეს."

კემო თვითკრიტიკული მხატვარია. დღეს რომ დახატავს, ხვალ აღარ მოსწონს, მერე უკეთესს ხატავს. იგი ხელით ხატვასთან შედარებით კომპიუტერული გრაფიკის სირთულეზეც გვიყვება: "ხელით ხატვის დროს ფურცელს უყურებ, კომპიუტერული გრაფიკის დროს ელექტრონულ დაფაზე ხატავ და კომპიუტერის ეკრანს ხედავ. ძალიან ძნელია პროპორციების სწორად განსაზღვრა, წერტილის დასმა იმ ადგილას, სადაც გინდა. სხვა არის ის, რომ იაფია და საღებავი არ სჭირდება. ჩემი აზრით, არა აქვს მნიშვნელობა, როგორ დაიხატება, ამით არც ემატება და არც არაფერი აკლდება ნახატს, ვიზუალური ეფექტი კი მართლაც განსხვავებული აქვს. თუ ხარ სალვადორ დალი ან რემბრანდტი, ასეთ შემთხვევაში აქვს განსხვავება ხელითაა დახატული თუ კომპიუტერულად. კემოს შემთხვევაში ამას მნიშვნელობა არა აქვს."

მხატვარმა ერთი საიდუმლოც პირველად "სამტრედიის მაცნეს" გაუმხილა. "დისნეიდან" შეთავაზება მიიღო. ყველასთვის საყვარელი მულტფილმის "გაყინულის" მე-9 სერიისთვის, რომელსაც 2018 წელს გადაიღებენ, უნდა დახატოს. ამჯერად კემო კომპოზიციებზე, ლოკაციებზე, ილუსტრაციებზე მუშაობს. თუ ნახატი მოიწონეს, "დისნეიში" სამუშაოდ მიიწვევენ.

"დღესდღეობით, "დისნეი" მთელ პლანეტაზე საუკეთესო ადგილია მხატვრებისთვის, _ აღნიშნავს ის, _ აქ მსოფლიოს ყველა კუთხიდან არიან თავმოყრილი მხატვრები. კემოსაც ინდონეზიელმა მხატვარმა, ტაომ შესთავაზა მათთან მუშაობა, მას შემდეგ, რაც მის მიერ დახატული ლუი დე ფიუნესის კარიკატურა ნახა.

საზოგადოების ინტერესის საგანი გახდა კომპანია "ველოსიპედი". იგი კემომ თავის კოლეგასა და მეგობართან, გიორგი მარშანიასთან ერთად დააარსა. ისინი ანიმაციურ პროექტებზე მუშაობენ. მულტიპლიკაციურ ფილმებს იღებენ ქართული ზღაპრების მიხედვით, რადგან საქართველოში დიდი ხანია, ქართული ანიმაციის დეფიციტია. უკვე რამდენიმე საინტერესო პროექტი განახორციელეს. მათ შორის ბავშვებისათვის შემეცნებითი მულტფილმი "იცოდე შენი ქვეყნის ისტორია".

"ძალიან ცნობილი ზღაპრის პრომოც გავაკეთეთ, _ ჰყვება ის, _ ჩემი ნათლიის, პოეტ გივი ჭიჭინაძის ლექსია "დათუნია დრუნჩა", რომელზეც სიმღერა მამაჩემმა 40 წლის წინ დაწერა. ეს სიმღერა თავისი ლექსით ანიმაციად გავაკეთე. დრუნჩა ძალიან საყვარელი, კეთილი დათვია და ბავშვებსაც შეუყვარდებათ. გადავიღეთ ფილმი "თხამ ვენახი შეჭამა". პერსონაჟები ზაალ სულაკაურისაა, ანიმაცია _ ჩემი, ხოლო მუსიკა კახა ცისკარიძის. ინტერნეტში მას 6 მილიონი ნახვა აქვს. გადავიღეთ "დათა თუთაშხიას" მულტიპლიკაციური ვერსიაც."

არა მარტო ხატავს კემო, აქანდაკებს, თოჯინებსაც ქმნის და ზოგჯერ ძვირადღირებულ სტატუებს საჩუქრად არიგებს.

კემოს მეუღლე ნინიკემო (ნინო ჯოხაძე) ორიგამის დიზაინერია. ორიგამი იაპონური ხელოვნებაა, რომელიც ქაღალდის კეცვით იქმნება. მისი ნამუშევრები მოთხოვნადი გახდა ქორწილებსა და კორპორაციულ საღამოებზე, შრომატევადია, შესაბამისად _ ანაზღაურებადიც.

თვითონ კემოსაც ხატავენ კარიკატურისტები, უკვე 200-ზე მეტი ნახატი დაუგროვდა, სხვადასხვა ქვეყნიდან სხვადასხვა დროს დახატული. ამბობს, რომ მათ შორის ბატონი ბეჟან გოგიას კარიკატურაცაა. მოსწონს ისინი, რადგან ყველა საინტერესოა, განსხვავებულია, მაგრამ ყველა მათგანი მას ჰგავს.

ასპროცენტიანი გრანტის მფლობელები გახდნენ

ნინო ნანიტაშვილი

გიორგი ტაბიძე, ნიკო მიქელთაძე, მარიამ თადუმაძე, ნინო თევზაძე, ქეთევან ბანძავა, ლილიანა კვეტენაძე, ვიოლა გეგეშიძე, თეონა ზაქარეიშვილი _ ეს მოკლე ჩამონათვალია იმ სამტრედიელი ახალგაზრდებისა, რომლებმაც წელს სკოლები ვერცხლისა და ოქროს მედლებზე დაამთავრეს და სახელმწიფოსაგან ასპროცენტიანი დაფინანსებით სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოხვდნენ. თუ დავკონკრეტდებით, მათგან 4 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაირიცხა, ხოლო 2 თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა.

მესამე სკოლის კურსდამთავრებულმა გიორგი ტაბიძემ 2 კვირის წინ, საგარაუდოდ, უკვე იცოდა, ეროვნულ გამოცდებში მიღებული ქულების შედეგებით თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდებოდა სახელმწიფოს 100-პროცენტიანი დაფინანსებით. ხოლო მარიამ თადუმაძემ იგივე უნივერსიტეტის პირველკურსელობის სიხარული 25 აგვისტოს განიცადა. მან პირველი საჯარო სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. პირველივე ფაკულტეტად თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ფაკულტეტი ჰქონდა მითითებული. სამი სავალდებულო და მე-4 არჩევითი საგანი ჩაბარა. ეს უკანასკნელი ლიტერატურა იყო. მარიამმა განსაკუთრებით სწორედ აქ ისახელა თავი: უმაღლესი 80 ქულიდან 70 მოიპოვა. ზოგად უნარებში _ 65 ქულა, ქართულ ენასა და ლიტერატურაში _ 66, ინგლისურში _ 91. ამ შედეგებით მარიამ თადუმაძე 100-პროცენტიანი გრანტის მფლობელი სტუდენტი გახდა. თავისუფალი უნივერსიტეტი კერძო უმაღლესი სასწავლებელია და მარიამის ფაკულტეტზე წლიური გადასახადი 8000 ლარამდეა: "ამ უნივერსიტეტს შიდა საგრანტო პროგრამა აქვს. სახელმწიფო დაფინანსების გარდა იმდენივე თანხას გაძლევს შიდა ფონდი. ჩემს შემთხვევაში სახელმწიფო გრანტს დაემატება 2250 ლარი და გადასახდელი დარჩება 2200 ლარი. სტატისტიკის მიხედვით, ცნობილია, რომ ყველაზე მაღალქულიანი ახალგაზრდები თავისუფალ უნივერსიტეტს ჰყავს, აქვე ასწავლიან იაპონურს. ამ ქვეყნის კულტურის მიმართ ინტერესი ბავშვობიდან მომყვება. რომ არა ეს სასწავლებელი, სხვაგან, ალბათ, ვერც მოვახერხებდი იაპონური ენის შესწავლას".

ქეთი ბანძავამ მე-12 სკოლა ოქროს მედალზე დაასრულა. ჩააბარა 4 საგანი, არჩევითად ბიოლოგია ჰქონდა მითითებული. ზოგად უნარებში 70 ქულა მიიღო, ინგლისურში _ 90, ქართულ ენასა და ლიტერატურაში _ 68, ბიოლოგიაში _ 70 ქულიდან 68, რამაც მეტწილად მისი 100-პროცენტიანი გრანტით დაფინანსება განსაზღვრა. ქეთი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მის შემთხვევაში ექიმის პროფესიის არჩევა ბიოლოგიის სიყვარულმა განსაზღვრა: "არასოდეს მიოცნებია ექიმობაზე. არც რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა ყოფილა, რაც მედიკოსობას მომანდომებდა. უბრალოდ, ჩემმა ბიოლოგიის მასწავლებელმა ირმა აკოფოვამ უზომოდ შემაყვარა ეს საგანი და გადამწყვეტინა ამ საგნის ჩაბარება. 25 აგვისტოს ქულების დადების შემდეგ გავიაზრე ჩემი მომავალი პროფესია".

ოქროსმედალოსანთა შორისაა მე-11 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული ნინო თევზაძე. მან სამ სავალდებულო საგნებთან ერთად 2 დამატებითი საგანი: ქიმია და ფიზიკა ჩააბარა. ზოგად უნარებში _ 64, გერმანულში _ 86, ქართულ ენასა და ლიტერატურაში _ 75, ფიზიკაში _ 52, ქიმიაში _ 71 ქულა მიიღო. ნინო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის ფაკულტეტზე სწორედ ქიმიის მაღალი ქულით ჩაირიცხა და სახელმწიფოსაგან 100-პროცენტიანი გრანტით დაფინანსდა. ქეთისაგან განსხვავებით ნინოსთვის ექიმობა ბავშვობის ოცნებაა: "მე-9 კლასში ვიყავი, როცა ქიმიის სწავლა დავიწყე. საგნისადმი განსაკუთრებულმა ინტერესმა და სიყვარულმა განაპირობა ჩემი არჩევანი. გარდა ამისა, ძალიან მომწონს სამედიცინო დაწესებულების დანიშნულება, ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვა".

ნიკო მიქელთაძემ მესამე საჯარო სკოლა ვერცხლის მედალზე დაამთავრა. ქეთის, ნინოსა და ლილიანას მსგავსად ისიც 100 პროცენტიანი გრანტით სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სამ სავალდებულო საგანს 2, ბიოლოგია და ფიზიკა დაამატა. ზოგად უნარებში მან 69 მიიღო ქართულ ენასა და ლიტერატურაში _ 67, ინგლისურში _ 91, ბიოლოგიაში _ 63, ფიზიკაში _ 51. ნიკო უნივერსიტეტში ბიოლოგიის ქულით ჩაირიცხა და გრანტიც 63-მა ქულამ განსაზღვრა. ექიმობა არც მას უნდოდა თავიდან, ნიკოს შემთხვევაშიც გადამწყვეტი როლი ბიოლოგიამ და საგნის მასწავლებელმა, მანანა ქომეთიანმა ითამაშა: "მე-10 კლასში რომ ეკითხა ვინმეს, ეკონომისტობა მინდოდა, შემდეგ პედაგოგის არჩევანთან ერთად გერმანიაში გაცვლითმა პროგრამებმაც დამაინტერესა და საბოლოოდ გადავწყვიტე ექიმობა".

სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან წელს რამდენი აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, ამისი ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. საზოგადოებამ იცის, რომ ბევრი ახალგაზრდა მოეწყო, რომლებიც სხვადასხვა ქალაქსა და უმაღლეს სასწავლებლებში გააგრძელებენ სწავლას.

ოთხდენ პირველყოფილებელს ელიან მუნიციპალიტეტის სოფლის სკოლები

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის 35-ივე საჯარო სკოლაში (ჩვენს მუნიციპალიტეტში ორი კერძო სკოლაც არის) სასწავლო პროცესი 15 სექტემბერს განახლდება. ქალაქის სკოლებში კონტინგენტი დიდია, განსაკუთრებულად უჭირს სოფელს, რადგან მიგრაციის პროცესებთან გამკლავებას ვერ ახერხებს. ეს პროცესები დაცლილი სკოლების ჰირდაპირპროპორციულია. მუნიციპალიტეტის რამდენიმე სკოლაში 1 მოსწავლისთვის დაირეკება წლეულს სკოლის ზარი.

რამდენიმე სოფლის სკოლის დირექტორს დავუკავშირდით, მივმართეთ შეკითხვით რამდენი პირველკლასელი შეაღებს წლეულს მათი სკოლის კარს და რა სარემონტო სამუშაოები განხორციელდა მათთან. ოფეთის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორის, ლალი ნადირაძის თქმით, სკოლას ერთი პირველკლასელი ეყოლება, ერთი ჰყავდა გასულ წელსაც, დირექტორს კმაყოფილების განცდას ანიჭებს ის, რომ მომავალში 2 პირველკლასელს მიიღებენ. "სარემონტო სამუშაოებიც ჩავატარეთ, რამდენიმე სასკოლო ოთახი სკოლის ბიუჯეტის თანხით 14 000 ლარით გავარემონტეთ. სკოლაში დღესდღეობით 40 მოსწავლე გვყავს". _ გვეუბნება ქალბატონი ლალი.

სოფელ გომის საჯარო სკოლა (დირექტორი მაყვალა თევზაძე) წლეულს 8 პირველკლასელს მიიღებს. "განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მადლობა მინდა გადავუხადო, რადგან გასული წლის იანვარში სკოლაში სრულიად გამოიცვალა ძველი კარ-ფანჯარა და მეტალო-პლასტმასით შეიცვალა. ისიც მინდა ვთქვა, რომ 14-მა დაასრულა წლეულს ჩვენი სკოლა და იქიდან ნახევარი უმაღლეს სასწავლებელში მოეწყო". _ ამბობს ქალბატონი მაყვალა.

9 პირველკლასელს მიიღებს ეწრის საჯარო სკოლა. ამდენივე მიიღო გასულ წელსაც. "ჩვენს ბიუჯეტში არსებული თანხით შევძელით გაგვერემონტებინა რამდენიმე ოთახი". _ ამბობს სკოლის დირექტორი, მიშა კოპალეიშვილი.

წლეულს 120 წელი უსრულდება ბაშის საჯაროს სკოლას, იგი 13 პირველკლასელს მიიღებს. "წლეულს ჩვენს სკოლაში სრულიად გამოიცვალა ძველი კარ-ფანჯარა და მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრით შეიცვალა. ამისთვის მადლობა მინდა გადავუხადო ინფრასტრუქტურის სააგენტოს". _ გვეუბნება სკოლის დირექტორი, ციცინო ხაბალაშვილი.

ჭოგნარის ივანე ჯაშის სახელობის საჯარო სკოლაში 4 პირველკლასელი ჰყავთ, შარშანდელზე ერთით მეტი. "მიმდინარეობს და მალე დასრულდება სარემონტო სამუშაოები, შერემონტდება სკოლის ღობე, ჭიშკარი, დაიგება ფილები, სამუშაოები ჩვენივე ბიუჯეტში არსებული თანხით განვახორციელეთ". _ გვითხრა სკოლის დირექტორმა იზოლდა ვაჩეიშვილმა.

ოფეთის № 1 სკოლის დირექტორის, მზევინარ თარგამაძის თქმით, სკოლას 1 პირველკლასელი ეყოლება. ამ სკოლაშიც სკოლის ბიუჯეტში არსებული თანხით განხორციელდება სარემონტო სამუშაოები, გაკეთდება სკოლის ჭიშკრიდან შენობამდე მისასვლელი გზა, შეიცვლება ერთი ოთახის იატაკი და შეკეთდება კარები.

კორმაღლის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობას მზია ზაქრაძე ასრულებს, მანამდე ის სკოლის სასწავლო ნაწილი იყო, სპეციალობით ბიოლოგია. ის ამავე სკოლის კურსდამთავრებული და 47 წლიანი პედაგოგიური სტაჟის მქონეა. სასიამოვნო ფაქტია მათ სკოლაში შარშანდელთან შედარებით პირველკლასელთა რიცხვის გაორმაგება. ქალბატონი მზიას თქმით, სკოლა წლეულს 8 პირველკლასელს მიიღებს. რემონტი კორმაღლის სკოლაში გასულ წელს ჩატარდა და ძველი კარ-ფანჯარა გამოიცვალა.

ქვაყუდის საჯარო სკოლაში 5 პირველკლასელი მიუჯდება მერხს, "შარშან 2 პირველკლასელი გვყავდა, ვიმედოვნებთ, კონტინგენტი მომავალში გაიზრდება". _ გვეუბნება დირექტორი, გიორგი შანიძე. მისივე თქმით, 2014 წელს სკოლაში ძველი კარ-ფანჯარა ახლით შეიცვალა.

"11 მოსწავლე შემოგვემატა წლეულს". _ ამბობს ღანირის საჯარო სკოლის დირექტორი, გოჩა დანელია. სკოლის ბიუჯეტში არსებული თანხით (5000 ლარი) გარემონტდა სააქტო დარბაზი, მისივე თქმით სკოლაში ახალი სკამები და მერხები მიიღეს.

მელაურის საჯარო სკოლა ჩვენს მიერ გამოკითხული სკოლების ფონზე აშკარა ლიდერია, აქ წლეულს 15 მოსწავლე შეაღებს კარს.

"გასულ წელს 11 პირველკლასელი მივიღეთ, კონტინგენტის ზრდა შეიმჩნევა და მიხარია. 2016 წელს ჩვენს სკოლაში სრულიად შეიცვალა ახლით ძველი კარ-ფანჯარა. სკოლა უზრუნველყოფილია ახალი მერხებით, სკამებით, სასკოლო დაფებით. _ გვეუბნება სკოლის დირექტორი, ნინო ნიკოლეიშვილი.

საჯავახოს საჯარო სკოლა 7 მოსწავლეს მიიღებს. შარშანდელთან შედარებით მათი რიცხვი ორით გაიზარდა.

"პირველი სართულის დერეფანი და სამასწავლებლო სკოლის ბიუჯეტში არსებული სახსრებით გავარემონტეთ, ამავე წელს რიგში დგას სპორტული დარბაზის გარემონტება". _ აღნიშნა სკოლის დირექტორმა, ვაჟა კუციამ.

ტოლების საჯარო სკოლას შარშან 5 პირველკლასელი ჰყავდა, წლეულს 7-ს მიიღებს. _ გვითხრა სკოლის დირექტორმა მარინა ხუჭუამ.

სამტრედიის ცენტრიდან სოფელ წიაღუბნამდე 25 კილომეტრია, წიაღუბნის საჯარო სკოლა 9 წლიანია, "სკოლა არაჩვეულებრივი გვაქვს, 2009 წელს აშენდა, კეთილმოწყობილია, პრობლემა ისაა, რომ კონტინგენტი გვყავს მცირე, სულ 15 მოსწავლეა, შარშან პირველკლასელი არ გვყოლია, არც წლეულს გვყავს, მომავალში 2 მოსწავლე გვეყოლება. მალე სკოლაში ახალი მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებს ჩავსვამთ, სამუშაოები ოქტომბრამდე დასრულდება". _ გვეუბნება წიაღუბნის საჯარო სკოლის დირექტორი, მანანა თევზაძე.

ბაგა - ბაღები აღსაზრდელებს 19 სექტემბერს მიიღებენ

ჩვენი მუნიციპალიტეტის 23-ივე ბაგა-ბაღში სააღმზრდელო პროცესი 19 სექტემბერს განახლდება. ამის შესახებ "სამტრედიის მაცნეს" სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა ხათუნა ახობაძემ განუცხადა.

"სოფლის პროგრამებით სოფლის ბაგა-ბაღებში უკვე ჩატარდა რიგი სამუშაოები, მუნიციპალიტეტის გამგეობამ იზრუნა იმისთვის, რომ ახალი სასწავლო წლიდან უკვე ყველა ბაღში იქნეს ცხელი წყალი და სამზარეულოში დამონტაჟდეს გამწოვები. ასევე ჩვენ, კვების ტენდერის გამოცხადების შემდეგ დარჩენილი ეკონომიის თანხა, 25 000-ი მივმართეთ ქალაქის ბაგა-ბაღების სარემონტო სამუშაოებისთვის" - ამბობს ხათუნა ახობაძე.

მაშ ასე, მერხები პატარების ჟრიამულს ელიან.

ნათია ნაცვლიშვილი

ვემსახურები საქართველოს!

უშიშარი მებრძოლები არიან ჯართველები, როგორც უხორცონი...

არაბი ისტორიკოსი.

ლევან გაბეჩავა

დამოუკიდებელი საქართველოს პირმშოა თავდაცვის სამინისტროს სამხედრო აკადემია.

საოცარი გმირობა, ეჭვშეუვალი პატრიოტიზმი, დიდი რისკი იყო მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო მკვეთრად მონიშნული ახალფეხადგმული დამოუკიდებელი საქართველოს საშინაო და საგარეო ვექტორები, განაცხადი გაგეკეთებია აკადემიაში სწავლაზე.

სამტრედიელი ძმები რევაზ და სოსო ნიკოლეიშვილები ერთ-ერთი პირველები იყვნენ აკადემიაში ჩარიცხულთაგან.

მათი დედა ქალბატონი ია მელქაძე წლების მანძილზე საოცარი რუდუნებით ემსახურა სამტრედიაში ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს.

მამა _ მიხეილ ნიკოლეიშვილი ჩვენი კოლეგა, სხვადასხვა წლებში პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდა.

დღესაც თბილად იგონებენ ყოფილი მოსწავლეები რეზოსა და სოსოს ბებიას, პედაგოგ თინა ჩახუნაშვილს.

რევაზმა და სოსომ (იოსებმა) წარმატებით დაამთავრეს აკადემია.

ძმები ნიკოლეიშვილები იმ პატრიოტ ქართველ ვაჟკაცებშიც პირველები იყვნენ, ვინც მსოფლიოს ყველაზე ცხელ წერტილებში სამშვიდობო მისიებში მიიღეს მონაწილეობა და როგორც მათმა ღირსეულმა წინაპრებმა, გმირმა ქართველმა მამულიშვილებმა, შორს გაუთქვეს ჩვენს ქვეყანას სახელი.

ძმები ამჟამად ჩინიანი სამხედრო მოსამსახურეები არიან.

ამას წინათ, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ბატონმა ლევან იზორიამ 31 აგვისტო მშვიდობისმყოფელთა დღედ გამოაცხადა, თან ის სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვა 1999 წელს პირველ სამშვიდობო ოპერაციებში რომ მიიღეს მონაწილეობა.

ნაცნობი გვარ-სახელი, ნაცნობი მზერა...

აქაც პირველი მშვიდობისმყოფელი ვინც ჯილდო მიიღო და ვისი გვარიც გაჟღერდა, პოლკოვნიკი იოსებ ნიკოლეიშვილი იყო.

საოცრად გვესიამოვნა, გვეამაყება კიდეც ჩვენი რაიონის მკვიდრი, ჩვენი კოლეგის უკვე პოლკოვნიკი შვილი, ჩვენს თვალწინ დავაჟკაცებული რეზიკო და სოსიკო ესოდენ წარმატებულები რომ არიან.

ფაქტთან დაკავშირებით ერთი ამბავი მომაგონდა.

ჩვენი კოლეგა, მიშა ნიკოლეიშვილი პერიოდულად ერთ დიდ თაბახს აიღებდა, ზედ ცარიელ უჯრებს ხატავდა, მერე კი რაღაც დროის ინტერვალით თითოეულს შლიდა. დავინტერესდი კოლეგის საქციელით და შევიტყვე, რომ მამა, რომლის შვილებიც სამშვიდობო მისიაში იმყოფებოდნენ ცხელ წერტილებში, მშვიდობიანად ჩავლილ ყოველ დღეს თითო უჯრასთან ერთად შლიდა.

ბევრი ფურცელი გადაიშალა, ბევრი უჯრა, ბევრი დრო გავიდა, ძმებმა ნიკოლეიშვილებმა ბევრჯერ ისახელეს თავი. ბევრჯერაც გვასახელეს და ახლაც ფხიზლად დგანან მშვიდობის სადარაჯოზე.

მშვიდობიან, უღრუბლო ზეცას ვუსურვებთ მშვიდობისმყოფელებს, პოლკოვნიკ იოსებ ნიკოლეიშვილს!

ვულოცავთ!

საქებარ კაცზე საქებ სიტყვას რა გამოგვილევს, მით უფრო, რომ ჩვენი გაზეთის დიდი ხნის ერთგული მეგობარია.

მრავალმხრივ განსწავლული კაცი, **ბატონი ვალერიანე თევზაძე** მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწევა საგანმანათლებლო ფრონტზე, სამეცნიერო ასპარეზზე. ძირითადად, ყურადღება იმით მიიპყრო, რომ მრავალი შეთავაზების მიუხედავად, მშობლიური სოფელი გომი, მშობლიური სკოლა არ მიატოვა და ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი პედაგოგია დოქტორის აკადემიური ხარისხით, რომელიც საჯარო სკოლაში მოღვაწეობს.

პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის, სიმშვენიერის აღქმის საოცარი სინატიფითაა გამთბარი მისი ლექსის ყოველი სტრიქონი.

მართალია, ბოლო ხანს დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით პირველ სექტემბერს სასწავლო წელი არ იწყება სკოლებში, მაგრამ პედაგოგები მაინც პირველ სექტემბერს გადიან სამუშაოდ.

კიდევ ერთი ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავთ პირველ სექტემბერს დაბადებულ ჭარმაგ კაცს, დიდხანს, დიდხანს ამყოფოს უფალმა საკუთარი ქვეყნის მაჯისცემაზე მიყურადებული კეთილი კაცი, ბოლომდე რომ იხარჯება საქართველოს მომავლისათვის.

ბატონი ვალერიანეს რამდენიმე ლექსს ვთავაზობთ მკითხველს.

***

მზეს წაუღია დიდი ნაღველი,
მზეს მოჰყოლია დილა ხალისის,
უფრო მინათებს შენი სახელი
უფრო ამაღლდა ჩემი მაისი.
გაუთავებლივ სტვენენ ჩიტები,
ყელ-ყურს იღერენ მზისკენ ვარდები,
შენზე სათქმელი ლექსით ვიწყები,
შენზე უთქმელი ლექსით ვთავდები.

***

ვგრძნობ და განვიცდი, ვხედავ და მესმის
და მიხარია, რომ ვარ ასეთი,
რომ ჟრუანტელით შემოდის ჩემში
შენი ცხოვრება ულამაზესი.
მოდი და ჩქარა ღიმი მომგვარე,
ჩემი თბილისის, ჩემი ვარაზის...
თუ გამიმეტო, ისე მომკალი,
სიკვდილიც მქონდეს ძალზე ლამაზი.

წვიმს

წვიმს და ჩამორბის პატარა ღელე,
და დიდ მდინარეს ხარხარით ერთვის.
მე შენსკენ ვიწვდი სიცხიან ხელებს,
გულის კანკალით და გულის ფეთქვით.
არ ვიცი, მითხარ, რაც უნდა მეთქვა,
თუ სათქმელს გულში ვჩურჩულებ ჩემთვის...
წვიმს და ჩამორბის პატარა ღელე
და დიდ მდინარეს ხარხარით ერთვის.

ლევან გაბეჩავა

"თითქოს ნეკნებზე დამაჭირა სამყარომ ტერფი"

არ არის ადვილი, ქართული პოეზიის უსასრულო ზღვის ფსკერიდან ლექსი-მარგალიტები ამოზიდო, მით უფრო, იოლი არაა ეს საქმე გალაკტიონის სამშობლოში, სადაც ერთმა შესანიშნავმა პოეტმა ბრძანა: "ლექსის მწერალი ხშირდება, ლექსი კი არ ჩანს მაინც". ღმერთმა ნუ ქნას, მხოლოდ წარსულის იდეალიზაციით დავტკბეთ და პოეზიის ცის კაბადონზე გამობრწყინებულ ახალ ვარსკვლავებს იმედიანი თვალი არ მივაპყროთ. როცა ამ საოცრად არაპოეტურ დროში ბიბლიოთეკის სტელაჟზე ახალ პოეტურ კრებულს დაინახავ, გადაფურცლავ და გებულობ, რომ მისი ავტორი 23 წლის იურისტია, თანაც, აქვე, ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშის მკვიდრია, ინტერესი გიმძაფრდება, გაინტერესებს, მართლაც, ვინ "მოდის მომავლიდან", რა პოეტური მრწამსითა და ფერთა უხვი პალიტრით? რაგვარ ემოციათა ნაზავით აპირებს მკითხველის დაბანგვას?



მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა თემურ ჭახნაკია საუკეთესო მკითხველთა ამალაში უკვე ჩარიცხეს, ჩაირიცხება თუ არა ის საუკეთესო ქართველ პოეტთა დასში, ამას "უთარიღო" დრო, ყველაზე უმკაცრესი მსაჯული განსჯის. როგორც თავად ამბობს, ის პოეზიით უკვე "გაილახა": ამ ლექსს "უტოვებს ამ სამყაროს ულტიმატუმად".

წიგნში დაბეჭდილი პირველივე ლექსი პოეტური მანიფესტივით ჟღერს, ახალგაზრდას ღრმად სწამს, რომ "მგოსნებს დროის ღრმა საცერი გაცრის", მანამდე კი, სტრიქონი სტრიქონს აება, სულიერი განცდები და უმძაფრესი ემოციები აგურებივით დალაგდნენ, ლექსებმაც "მხარი მისცეს ერთმანეთს", და ავტორმა პოეზიის მისეული ტაძარი ააგო.

მისი ყველა განცდა ძალზე წრფელია. ლექსებში მოისმის გლობალიზაციით შემოთავაზებულ ცდუნებათა კრიტიკა ("ძველი ქვეყანა ყუნწს მოწყვეტილ ვაშლივით ლპება, უფსკრულზე ღრმაა სიმწარისა და სკდომის ნაპრალი, ღმერთის გმობას და ცრუ ეშმაკის ბრმად გაკერპებას, მოჰყვება რისხვა, რომელსაც ჩვენ უფალს ვაბრალებთ"). პატრიოტულ გრძნობათა აფეთქებას, მშობლიური სოფლის ტკივილამდე განცდას: (ვიხსენებ სოფელს, ცისკროვანზე თუ მზე უმია, სულში სითბო დგას, დუმს ღია ჭა და ოწინარი"), სასიყვარულო გრძნობათა ნიადვარს, (და გულის ნაცვლად შენ ამიძგერდი") ყველა სახის ლირიკას მშობლიური ცხენის წყლის ტალღებივით მოაქუხებს მისი პოეზიის ცისფერი მდინარე. ეწერება და წერს, უკვე მკითხველის სამსჯავროზეც გამოიტანა:

"ხშირად ვმასპინძლობ მაჟორს და მინორს,
შევხარი ზუსტი რითმების ვარვარს,
სტრიქონი უკრავს მზის ვიოლინოს,
ლექსებს ვწერ, მაგრამ პოეტი არ ვარ".

ჯერ კიდევ თავმდაბლობს ავტორი, რომელიც ამავე წიგნში ლექსებთან ერთად საინტერესო პროზაულ ნაწარმოებებსაც გვთავაზობს. მას სტკივა და აწუხებს "ღვთითნასწავლი" ნიკალას ბედი თუ 27 წლის მირზას თვალებში "ჩამთავრებული" ფრონტი. დადის ჩვენი ქალაქის ქუჩებში ეს ახალგაზრდა პოეტი ძალიან ქართული სატკივარით დამუხტული და წვრთნის თავის რითმებს, დიდი სივრცეების დაპყრობის ჟინით შემართულმა იცის, რომ "ვნების სიმძაფრე შენებაშია", ამიტომაც მიმართავს საკუთარ თავს: "არ დაასვენო მაჯა და მუხლი, რომ არ მოგეცხოს ჩირქი ან ლაქა" შესანიშნავი დასაწყისია," წერე პოეტო, უფრო თამამად შემოუძახე მარადისობას!"

ნათია ნაცვლიშვილი

ახალი ლექსები

***

დამათოვე, ღმერთო, უხვად
სიბრძნის ცვარ-მანანები...
მომეც რწმენა,
მომეც თმენა,
მსგავსი წმიდა მამების.

***

მზიან დილის ხილვით ვტკბები...
ქარი ნისლებს მიაბოლებს...
დგანან საქართველოს მთები
და გაქცეულ
პომპეუსზე მიამბობენ...

***

სივრცე სავსეა კითხვის ნიშნებით,
ვითარც ფუტკრებით სკა.
ბზუიან ფიქრნი... გულს აწყდებიან,
ჩემგან ითხოვენ ხსნას,
ვერაფრით ვშველი და უძლურება მკლავს.

***

ვაიმე, ქართლო, მზე ადარ ნათობს,
ჩემი ვაზი და ჩემი გვირილა
გაღმა სხვას დარჩა.
ძინავს სამყაროს, დუმს სალამური,
წიქარაც არ ჩანს!

***

კარგად როგორღა ვიქნები,
გული როგორ დაწყნარდება,
როცა თვალწინ ნასახლარი
არ ყვავილობს,
არ მწვანდება.

***

რა უიღბლო დავიბადე,
ყველა დროში დრო მტკიოდა.
ის გუგულიც დამეკარგა,
"კაფე, თესეს"
რომ კიოდა.

***

შენით ვარ შეწუხებული,
ფიქრებით ღამენათევი...
ერთი სიტყვა ხარ _
სამშობლო _
მთელი სიცოცხლის დამტევი.

***

კესანე,
ქარებში მკვნესარი...
ჰა,
საქართველო
ეს არი.

***

ჩემო ტკბილო იმერეთო,
შენთანა ვარ ოცნებითა...
შენი ცისთვის
და მიწისთვის
დაუღლელი მლოცველი ვარ.

***

ვსუნთქავ, ვით ჩემი დაფნის ფოთოლი,
რა შეუმჩნევლად
წავალთ ქვეყნიდან
მე
და ის ჩემი ეზოს დაფნის ხე.

ვაჟას ძეგლთან

ვაჟას ძეგლია აქვე, ჩემ თვალწინ,
ვუცქერ ბუმბერაზს,
ვაჟას _ მთის არწივს.
გაგიკვირდებათ, ახლა რომ მნახოთ,
ვზივარ და ლექსს ვწერ ვაჟასთან ახლოს.
ისე ბუტბუტებს
ბავშვობის ღელე,
თითქოს
ბებია ლოცულობს
ჩემთვის.

***

სიტყვები... ჭიამაიები...
ისევ შემომესივნენ...
მახარებენ.
მტკივან გულის
მითრთოლებენ მე სიმებს...

***

ვხედავ. ეს დღეც
ისევ ისე
ტკივილების მომტანია.
ნაღდი საქმის მკეთებელი
ისევ ისე ცოტანია...

***

ვნატრობ ყიჟინას,
შინაურთა ძახილს _ "შეები".
ქართლის მინდვრები, ცრემლიან ფიქრს
ცვარში ალტობენ,
მეომრებივით დგანან ჩემი ალვის ხეები
და ცისკენ მფრინავ ტროას ცხენთა რემას
ნატრობენ.

***

ცოტნეც მყავს და
თევდორეც მყავს,
მერცხლებით მაქვს სავსე ბანი.
მაინც ვცრემლობ... რადგან ცხორში
მყავს მრავალი შადიმანი.

გიყვარდეთ ერთმანეთი

ვერასოდეს მოვიჯერებ გულს ამ ყვავილეთით,
მაინც განმაშორებს ედემს ნება ღმერთის
და როს ბოლო სუნთქვას სული ამოიტანს,
გიყვარდეთ ერთმანეთი! _
ვიტყვი ამ ორ სიტყვას.

ზვიად ვაშაკიძე

ომარ მაბეჩავას მახსენება!

არა, საოცარი არაფერი მომხდარა, შენზე ახალგაზრდებიც წასულან სამზეოდან სიცოცხლეზე გულდაწყვეტილნი, თუმცა ასაკი რა სახსენებელია ახლობელი ადამიანის გარდაცვალებასთან.

სამი თვე ებრძოდი სიკვდილს...

მერე, როგორც ხშირად ხდება, სიკვდილმა გაიმარჯვა და...

საოცარი სევდა, სიცარიელე, მწუხარება, ცრემლი.

ისევ გვგონია კარს შემოაღებ და მოხვალ, მაგრამ როცა მწარე რეალობას გავითავისებთ, სევდას სევდა ემატება.

გიყვარდით და გვიყვარდი, უფრო გვიყვარხარ, გვენატრები, ყველაფერს გავაკეთებთ, შენი სულის უკვდავებისათვის.

ნათელში იყავი!

ლეზანი

ბადრი ვაშაკიძე ოჯახით თანაუგრძნობს რამიზო ფანცულაიას ოჯახს
ქალბატონი ქეთო კუცია-ფანცულაიას
გარდაცვალების გამო.

ააიპ "სახლი თანადგომას"თანამშრომლები თანაუგრძნობენ ქალბატონ მზევინარ ბოხუას დედამთილის
ქეთო კუცია-ფანცულაიას
გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ნინო ნინუას
დედამთილის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს მზევინარ ბოხუას
დედამთილის
გარდაცვალების გამო.



მსოფლიო კითხულობს "ვეფხისტყაოსანს"

ლევან გაბეჩავა

ცნობილია, რომ მიმდინარე წელი "ვეფხისტყაოსნის" წლადაა გამოცხადებული მსოფლიოში და იგი გენიალური შოთა რუსთაველის იუბილეს ეძღვნება.

უკვდავი პოემის უნიკალურობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ "ვეფხისტყაოსანი" მსოფლiოს ხალხთა მრავალ ენაზეა თარგმნილი.

ამ ციკნა პუბლიკაციით განვიზრახეთ ის ავტორები გავაცნოთ მკითხველს, რომელთაც ხელიხელსაგოგმანებელი პოემა მათ მშობლიურ ენაზე თარგმნეს:

1825 წელს მარი ფელისიტე ბროსემ შეასრულა პოემის პირველი ფრანგული თარგმანი.

ფრანგულ ენაზე პოემა ელისაბედ ირაკლის ასულმა ორბელიანმაც თარგმნა, იგი 1977 წელს თბილისში ს. იორდანაშვილის თანაავტორობით გამოიცა.

1938 წელს პარიზში გამოიცა გიორგი გვაზავას და ანა პაონის თარგმანიც.

1964 წელს პარიზში დაიბეჭდა სერგო წულაძის თარგმანი.

1884 წელს "ვეფხისტყაოსანი" ფრანგულ ენაზე იონა მეუნარგიამ თარგმნა.

გერმანულ ენაზე პოემა ბერტა ფონ ზუტნერმა თარგმნა, თუმცა იგი დაკარგულადაა მიჩნეული.

არტურ ლაისტმა დრეზდენში პირველმა გამოსცა პოემის თარგმანი.

1955 წელს ბერლინში გერმანულად თარგმნა პოემა ჰუგო ჰუპერტმა.

პოემა გერმანულ ენაზე სხვა ადამიანებმაც თარგმნეს.

1918 წელს მარჯორი უარდროპისეული თარგმანი პირველად გამოიცა ლონდონში მისი ძმის ოლივერის თაოსნობით.

პოემა ინგლისურად თარგმნეს აგრეთვე, რობერტ სტივენსონმა, ლუის სოლანომ, ქეთრინ ვივიანმა, ვახტანგ ერისთავმა და სხვებმა.

უნგრულ ენაზე "ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელები არიან: ბელა ვიკარი, ვიორეშ შანდორი და სხვები.

რაფიელ ინგილო-ივანიცკიმ, შალვა ბერიძემ პოემა იტალიელებს გააცნეს საკუთარი თარგმანებით.

1943 წელს ჩინურ ენაზე პოემა ემი სიაომ თარგმნა, ხოლო 1956 წელს ბუქარესტში ვიქტორ კერნობახმა რუმინულ ენაზე თარგმნა პოემა.

ალექსანდრე ხოკკო, გიორგი ერისთავის დახმარებით კი კაზიმირ ლაჩინსკი გვეელინებიან პოლონურ ენაზე პოემის მთარგმნელებად. პოლონურად "ვეფხისტყაოსანი" სხვა ავტორებმაც თარგმნეს.

გუსტავო ალფრედომ ესპანურ, დარჟინ გომბოჟავმა კი მონღოლურად თარგმნეს რუსთაველის შემოქმედება.

საინ ნაფინსმა, მართეზა ფათემმა სპარსულ ენაზე აამეტყველეს პოემა.

ოსმარ ნაზარ ხალილი, მანოლი მეტაფილი არაბულ, პანტელეიმონ ბერაძე კი ლათინურ ენაზე მთარგმნელებად გვევლინებიან.

სტოიან ბაკირჯიევმა ბულგარელებს, მადან ლალ მადჰუმ ინდოელებს, ტონე პავჩეკმა კი სლოვაკებს გააცნეს რუსთაველი.

შალვა ნუცუბიძემ, ევგენ ბოლხოვიტინოვმა, კონსტანტინე ბალმონტმა, გიორგი ცაგარელმა, ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ და სხვებმა რუს ხალხს გააცნეს უკვდავი პოემა, აღსანიშნავია, რომ შალვა ნუცუბიძისეულ თარგმანში შესულია იოსებ სტალინის მიერ ნათარგმნი ერთი (რიგით 1414-ე) სტროფი. არიან სხვა რუსი მთარგმნელებიც.

მეზობელ სომეხ ხალხს პოემა სტეფანოს ბასტამიანმა, გევორქ ასატურიანმა, ლეონ მელიქსეთ ბეგმა გააცნეს.

ნიკოლოზ გულაკმა, მიკოლა ბაჟანმა უკრაინელებს, სავედ ვურღუნმა, მამედ რაჰიმმა, აჰმედ ჯავადმა, დილარა ალიევმა და სხვებმა აზერბაიჯანელებს აზიარეს რუსთაველის ნაზრევს.

ბელარუს ხალხს პოემა მიკოლა ხვედოროვიზმა, ალის ზვონაკმა, ებრაელებს კი ბორის გაპონოვმა, ერზრი ფინინაბერგმა, დავიდ გოფშლეინმა და სხვებმა გააცნეს.

აფხაზურად პოემა დიმიტრი გულიამ, ყირგიზულად კი ალიყულ ოსმანოვმა თარგმნეს.

ყაზახურ ენაზე საზმა აბდულინი, ტაირ ჟროკოვი, უზბეკურად ხალილ რასული, მ. შეიხზადე, ოსურად კი გიორგი ბესთაუთი, მუხტარ შავლოხოვი არიან "ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელები.

ტაიუნ ტანღრიკულიევმა, თურქმენ, იგორ კრეცუმ მოლდოველ ხალხს გააცნო რუსთაველი.

შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსანი", როგორც ვთქვით, თარგმნილია მსოფლიოს ხალხთა თითქმის ყველა ენაზე, სწორედ ესაა პოემის გენიალურობა, სწორედ ამიტომ მიიღო "იუნესკომ" გადაწყვეტილება მიმდინარე წელის "ვეფხისტყაოსნის" წლად გამოცხადების შესახებ.

ვიამაყოთ რუსთაველით!

ვიკითხოთ რუსთაველი!

ლაღობანი

კომპოზიტორმა ფილიპე ღლონტმა თავის კოლეგას ბიძინა კვერნაძეს შესჩივლა, _ სიმფონია დავწერე მორის ფოცხიშვილის ლექსზე და სათაური ვერ შევურჩიეო.

დაარქვი ფილიპ-მორისი. _ ურჩია ბიძინა კვერნაძემ.

***

ცნობილ ლიტერატორს, ზეზვა მედულაშვილს ერთმა შარიანმა კაცმა უთხრა, თავს რომ დებ, ერთ წამში გავლექსავ ნებისმიერ სიტყვასო, აბა, ''ემპირიოკრიტიციზმი'' გალექსეო.

ზეზვამ არ დააყოვნა:

მე მგონია შენი სახით,
იმპერია კრეტინს გვიზრდის!
ა, ეს არის ჩემო კარგო,
ემპირიოკრიტიციზმი.

***

ვახუშტი კოტეტიშვილმა ყელის მძიმე ოპერაცია გაიკეთა და ვერ ლაპარაკობდა. რეანიმაციიდან გამოსულმა თვალი გაახილა და შვილს ანიშნა, ქაღალდი და კალმისტარი მომეციო.

მისცეს.

ბატონმა ვახუშტიმ დაწერა:

ვახუშტიმ ბრძანა _ ცხოვრება,
მურტალია და ფლიდია,
რაც ადრე ფეხზე მეკიდა,
ახლა სულ ყელზე მკიდია.

***

ახალგაზრდა პოეტი პაკო (ამირან) სვიმონიშვილი სმენაზე მწყრალად იყო, ასეა ახლაც. მისი ძმა კი შესანიშნავად მღერის. ერთ ლხინში ისე ტკბილად აღიღინდნენ ამირანის ძმა მიშიკო და მისი მეგობრები, რომ პაკოს სულმა წასძლია და აჰყვა. მიშიკომ მაშინვე შეაწყვეტია სიმღერა და ძმას მკაცრად მიმართა:

_ პაკო, შენ იცი, რატომ დაგარქვეს ამირანი?

_ ვიცი, ბაბუაჩემის პატივსაცემად. _ იყო პასუხი.

_ გულში რომ იმღერო, იმიტომ. _ მიუგო ძმამ.

***

ილიკო სუხიშვილს ექიმები 6 საათის შემდეგ ჭამას უშლიდნენ, ის კი არ უჯერებდა მათ. ერთხელ კონცერტიდან, სადაც ნინო რამიშვილი ''ჯეირანს'' ცეკვავდა, ილიკო ჩუმად გაიპარა და გემრიელად დანაყრდა. კონცერტის შემდეგ მან ნინო შეაქო, ასე არასოდეს გიცეკვიაო. გაგიჟდა ნინო, რას ამბობ, კაცო, ვერ შეხედე, სცენაზე რომ დავეციო (ნინო მართლაც დაეცა იმ კონცერტზე). არ დაიბნა ილიკო: მერე როგორ წამოხტი!

***

ჟურნალ ''ნიანგის'' ერთ-ერთი არაქართველი სტუმარი ბევრ ჩაის სვამდა თურმე, თანაც მდუღარეს. ნოდარ დუმბაძეს, რომელიც ''ნიანგს'' რედაქტორობდა უხუმრია: მაგას რომ შარდის ბუშტი გაუსკდეს, ფეხებს დაიმდუღრავსო.

შეკრიბა ლევან გაბეჩავამ

ნატალი გოცირიძე

ფოტო კონკურსისთვის

ქალბატონო ჰილარი,
არჩევნები წინ არი,
პირველსა და მეორეს
გამოარკვევს ფინალი

ვულოცავთ!

ბატონ ნუგზარ ჯამბურიას!

უდიდესი პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს წარმატებებს გისურვებთ პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

უფალი გფარავდეთ.

პატივისცემით: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება

ნათია ნაცვლიშვილს!

მოსწავლე იყო, როცა პირველი წერილი დაბეჭდა ''სამტრედიის მაცნეში''. არც სტუდენტობისას გაუწყვეტია კავშირი მშობლიურ რაიონთან, რედაქციასთან. მერე, როცა საქართველოს დედა უნივერსიტეტი წარმატებით დაამთავრა პრესტიჟულ ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში უპრობლემოდ დაიმკვიდრა ადგილი.

მისი ცხოვრების დედაქალაქურ წლებს უკავშირდება ინტერვიუები ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების, თეატრისა და კინოს თვალსაჩინო წარმომადგენლებთან.

ოჯახის შექმნის შემდეგ ნათია მშობლიურ რაიონში დაბრუნდა. მისი სახით თითქმის 9 ათეული წლის ისტორიის მქონე ''სამტრედიის მაცნეს'' ღირსეული წევრი, ნიჭიერი, პოეზიაზე თავდავიწყებით შეყვარებული, პროფესიულად მზარდი, ახლის მაძიებელი ჟურნალისტი ჰყავს.

მზეგრძელობას, ოჯახის კეთილდღეობას, უფლის მადლსა და წყალობას გისურვებთ ჩვენო ერთგულო მეგობარო, დაბადების დღეს გილოცავთ!

''სამტრედიის მაცნე''

დემეტრე კიკვაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო პატარა ვაჟკაცო! უკვე 7 წლისა შესრულდი.

ჯანმრთელობას, კარგ სწავლას, ნათელ, ბედნიერ მომავალს გისურვებთ. ეჭვი არ გვეპარება, ღირსეული მშობლების შვილი ღირსეულ სიტყვას იტყვი სამომავლოდ.

შენით გვეამაყოს ჩვენ და სრულიად საქართველოს.

უფალი გფარავდეს!

''სამტრედიის მაცნე''

მაყვალა ჩირგაძეს!

ჩვენო მშვენიერო, ნიჭიერო და ერთგულო მეგობარო, 15 სექტემბერი ჩვენს ცხოვრებაშიც ლამაზ თარიღად შემოიჭრა, რადგან ის შენი დაბადების დღეა. ქვეყანას მოევლინე სილამაზედ, სიკეთედ, სათნოებად, ნიჭად და ერთგულებად, რომელსაც ასე უხვად და უშურველად გასცემ ამ ხნის მანძილზე.

გვინდა, კვლავაც ბედნიერ დედად, ბებიად, დიდ ბებიად გიხილოთ. შენი სხეულის უჭკნობ სილამაზეს სულიერი სიმშვიდე და ხალისი არასოდეს მოჰკლებოდეს, ჩვენ კი _ შენი ლამაზი პოეტური სტრიქონები.

მეგობრები

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839
სამტრედიის მაცნე
დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა